

მუზეუმი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

№2 · დეკემბერი, 2013


08 / მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

46 / XX საუკუნის კლასიკოსი

42 / საქართველოთი „მონაგლული“

32 / მიხეილ ბარათაშვილის დაბრუნება

68 / სამყარო, ადამიანი, ტვინი



ISSN 2298-0318



9 772298 031004



ეწვიეთ სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმს, სადაც, განახლებული ექსპოზიციის დათავ-
ლიერებასა და უნიკალური კოლექციების გაცნობასთან ერთად, საშუალება გექვსთქვამთ, დატკბეთ
მესტიის პეიზაჟისა და კოშკების ხედით, სასიამოვნოდ გაატაროთ დრო მუზეუმის საზოგადოებრივ
სივრცეში მოქმედ კაფეში, უახლესი კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით უფრო დაწვრილებითი
ინფორმაცია მიიღოთ მუზეუმის კოლექციებში დაცული ნივთების შესახებ, ან, უბრალოდ, დაისვენოთ
და WI-FI-ს საშუალებით ევროპის უმაღლესი დასახლებული პუნქტიდან დაუკავშირდეთ მსოფლიოს
ნებისმიერ წერტილს.

მუზეუმის მაღაზიებში წიგნებისა და სუვენირების ფართო არჩევანია. გამოფენების კატალოგების,
სხვადასხვა სახის პუბლიკაციებისა და სამუზეუმო ექსპონატების ასლების გარდა, მაღაზიაში შეგიძ-
ლიათ შეიძინოთ თანამედროვე სამკაული და სუვენირები.

კაფეები და მაღაზიები მუშაობს ყოველდღე, ორშაბათის გარდა, 10:00-დან 18:00-მდე. სვანეთის მუ-
ზეუმის საზოგადოებრივ სივრცეში, კაფეებსა და მაღაზიებში შესვლა შეგიძლიათ უბილეთოდ.

მისამართი: სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, ავთანდილ იოსელიანის ქ. 7, მესტია.

სვანეთის მუზეუმი



XX საუკუნის კლანიკოსი
მოდერნიზმის თვალსაჩინო წარმომადგე-
ნელმა თავისი ნოვატორული გამოგონე-
ბების სახით ისეთი ნამუშევრები დატოვა,
რომლებიც პოსტმოდერნისტულ ხანაშიც
პროცესის სახით განაგრძობენ არსებობას.

08 / მთავარი თემა
განგებამ იგი, მომადლებულ ნიჭთან
ერთად, სამშობლოს გამორჩეული
სიყვარულითა და მაღალი ზნე-
ობით დააჯილდოვა. გონისა და
გულის განსაკუთრებულმა სიკეთემ
შეაძლებინა, მთელი სიცოცხლის
მანძილზე მხრებით ეზიდა ეროვნუ-
ლი საგანძურის მოძიებისა და მოვ-
ლა-პატრონობის არცთუ მსუბუქი
ტვირთი.

42 / მუზეუმის მეგობარი
ამ პატარა ქვეყნის ლანდშაფტი
საოცრად მრავალფეროვანია, ის-
ტორია არაჩვეულებრივად მდიდა-
რი, კულტურული მემკვიდრეობის
ძეგლები უნიკალური. მწამს, რომ
საქართველოს კულტურა უმნიშვნე-
ლოვანესი კაპიტალია.

32 / ისტორია
თავად მიხეილ ბარათაშვილის
ბიოგრაფია სამხედრო კარიერით
იწყება. ნაპოლეონის ჯარებთან
ბრძოლების დროს გამოჩენილი
მამაცობისთვის იგი ორდენებითა და
მედლებით დაჯილდოვდა.


46 / ხელოვნება
დღეს, 3D-ს ეპოქაში, განსაკუთრე-
ბით ნათლად ჩანს, თუ რამდენად
პროგრესულად ამროვნებდა დავით
კაკაბაძე.








68 / ივენთი
ლექციის მიზანია, წარმოაჩინოს
კოსმოლოგიაში, პალეოანთროპო-
ლოგიაში და ნეირომეცნიერებაში
ბოლო წლებში მიღწეული ფუნდა-
მენტური აღმოჩენები.

სარჩევი

- 16 / ინტერვიუ ჰერმან პარცინგერთან**
- 18 / ფოტოგრაფიული კოლექციის ახალი სიცოცხლე**
- 22 / ფოტოგრაფია საქართველოში**
- 30 / განახლებული ბიბლიოთეკა**
- 31 / გაცოცხლებული ყოფა ბიოგრაფიის კარგი დამოკიდებულებით**
- 36 / საყდრის მალარტის საიდუმლო**
- 54 / ციხეგოტი – არქეოპოლისი**
- 58 / სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი**
- 60 / დამა მუზეუმში**
- 69 / დვანიის აღმოჩენა**
- 70 / ეროვნული მუზეუმის საეკლესიო საგანძური**
- 72 / „დიონისეას სახლი“**

საქართველოს ეროვნული მუზეუმი



-  სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი
-  თ. ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი
-  სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი
-  ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი
 - შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი
 - დ. შვიგარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
 - გ. ჩიბაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ
 - ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ჭარვასლა)
 - ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი
 - იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი
 - მოსე თოიძის სახლ-მუზეუმი
 - ურბა ჭაფარიძის სახლ-მუზეუმი
-  სიღნაღის მუზეუმი
-  დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი
-  ძაღისას მუზეუმ-ნაკრძალი



მუზეუმის
მეგობრები

ეს უენი ქვეყნის საგანძურია



შემოგვიერთდით!

www.museum.ge/support

facebook.com/MuseumFriends

დაგვიკავშირდით:

+995 32 2995895

friends@museum.ge

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეგობრების საზოგადოება,
შოთა რუსთაველის გამზირი 3, თბილისი 0105

XIX საუკუნის ბოლოს გაუქმების პირას იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი“ და ქართული ინტელიგენცია ხვდებოდა, რომ მხოლოდ „ეკლესიის მუზეუმი“ ვერაფრით შეასრულებდა ეროვნული საგანძურის შეგროვების, შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეს. ამ მიზეზით, 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მეთაურობით თბილისში შეიქმნა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება“, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი „ქართული მუზეუმის და ბიბლიოთეკის“ დაარსება გახდა, რამდენადაც კი-დედ 1799 წელს იოანე ბატონიშვილი წერდა თავის „სჯულდებაში“.



ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად ამ იდეის გარშემო ფაქტობრივად ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლები - აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ვასილ ბარნოვი, დავით კლდიაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, მაქარია ფალიაშვილი, ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარი შეიკრიბნენ. მუზეუმის პირველი ფონდის განსაკუთრებული სიამაყე გახდა 1908 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ შეწირული ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებული. მანვე ჩაუყარა საფუძველი არქეოლოგიურ გათხრებსა და სამეცნიერო ექსპედიციებს მუზეუმის ფონდების გასამდიდრებლად. სწორედ ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით დაარსებული მუზეუმის კოლექციები და ბიბლიოთეკა დაედო საფუძვლად 1919 წელს დაარსებულ საქართველოს მუზეუმს.

მოხარულნი ვართ, წარმოგიდგინოთ ჟურნალ „მუზეუმის“ მეორე ნომერი, რომელიც დიდ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, ექვთიმე თაყაიშვილს ეძღვნება.

ჟურნალში მრავალ სხვა თემასთან ერთად შეგიძლიათ გაეცნოთ ჩვენი პარტნიორი დაწესებულებების, პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის პრეზიდენტს, ჰერმან პარცინგერს და კიდევ ერთხელ გაადევნოთ თვალი დიდი ქართველი ხელოვანის, დავით კაკაბაძის ცხოვრებას, რომლის შემოქმედებაც მეცნიერებისა და ხელოვნების საინტერესო სინთეზს წარმოადგენს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი დღესაც აგრძელებს იმ გზას, რომელსაც საფუძველი დიდმა ქართველმა მამულიშვილებმა ჩაუყარეს და ამასთანავე აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო სამუზეუმო სისტემაში.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი

მთავარი რედაქტორი: დავით ლორთქიფანიძე
სარედაქციო კოლეგია: ეკატერინე გამყრელიძე, ნათია ხულუზაური, მიხეილ წერეთელი, მერაბ მიქელაძე
დისაინერი: თორნიკე ლორთქიფანიძე
ფოტოგრაფები: მირიან კილაძე, მალხაზ მაჭავარიანი, დავით მირველაშვილი
მადლობას ვუხდით ლიტერატურის მუზეუმს ფოტოების მოწოდებისთვის

სტამბა: სეზანი, თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 2 357002

ჟურნალი გამოიცა კომპანია JTI-ს მხარდაჭერით, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას

ISSN 2298-0318



საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმში შეგიძლიათ ეწვიოთ სამეცნიერო კაფეს. ყოველი თვის ერთ-ერთ ოთხშაბათს მოწვეული მეცნიერი წაიკითხავს ლექციას, რომლის შემდეგ გაიმართება დისკუსია და მსმენელს საშუალება ექნება, უშუალო გარემოში დაუსვას კითხვები მოწვეულ სტუმარს.

ინფორმაცია ლექციების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ მუზეუმის ვებ-გვერდზე და სამეცნიერო კაფეს facebook-ის ოფიციალურ გვერდზე:

<http://www.muzeum.ge>

<http://www.facebook.com/sciencecafe.georgiannationalmuseum>

Live Streaming-ის საშუალებით შეგიძლიათ, ჩვენ ვებ-გვერდზე, სახლიდან გაუსვლელად „დაესწროთ“ სამეცნიერო კაფეში მიმდინარე ლექციებს და თვალი ადევნოთ მუზეუმში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებას.

მისამართი: საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმი. რუსთაველის გამზირი 3, თბილისი.

მეცნიერი და საგოგადო მოღვაწე

ბთავარი თემა > მერაბ შიქელაძე

...განგებამ იგი, მომადლებულ ნიჭთან ერთად, სამშობლოს გამორჩეული სიყვარულითა და მაღალი ზნეობით დააჯილდოვა. გონისა და გულის განსაკუთრებულმა სიკეთემ შეაძლებინა, მთელი სიცოცხლის მანძილზე მხრებით ეზიდა ეროვნული საგანძურის მოძიებისა და მოვლა-პატრონობის არცთუ მსუბუქი ტვირთი. მისმა მეცნიერულმა აღლომ, თავდაუზოგავმა შრომამ და მიზანსწრაფვამ საქართველოს არა მხოლოდ შეუნარჩუნა მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის განსაკუთრებულად ძვირფასი ნაწილი, არამედ სისტემური და მრავალმხრივი სამეცნიერო კვლევის საგნად აქცია იგი.

ექვთიმე თაყაიშვილი ლიხაურში, გურიის ერთ პატარა სოფელში დაიბადა 1863 წლის 3 იანვარს, კორდონის ოფიცრის, სიმონ თაყაიშვილისა და ნინო ნაკაშიძის ოჯახში. იგი ადრე დაობლდა და მის აღზრდაზე მამიდა და ბებიამ იზრუნეს.

ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ექვთიმე სწავლას აგრძელებს პეტერბურგის უნივერსიტეტში, ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდშივე, მისი

ინიციატივით, ქართველ მოსწავლეთა ჯგუფმა თხოვნით მიმართა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორს, ალექსანდრე ცაგარელს, მათთვის საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის შესახებ ლექციები წაეკითხა. ასე რომ, მომავალი სწავლული იმ დროისათვის შესაფერისი ფართო ისტორიულ-ფილოლოგიური განათლებით აღჭურვილია და თან ქართველოლოგიაშიც გაწაფულია. ალბათ ამიტომაცაა, მისი მრავალმხრივი

მოღვაწეობა ჰუმანიტარული მეცნიერების ფართო სპექტრს რომ მოიცავს: ისტორიოგრაფიას, ეპიგრაფიკას, გეოგრაფიას, არქეოლოგიას, ხელოვნებას...

1887 წელს, სამშობლოში დაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილი მუშაობას იწყებს თბილისის სათავადაზნაურო სკოლასა და გიმნაზიაში, ასევე ხელს ჰკიდებს საქართველოს სიძველეთა შეკრებას და მათ მეცნიერულ დამუშავებას, რითაც აგრძელებს წყაროთმცოდნეობის დარგში თავისი მასწავლებლების, მარი ბროსესა და დიმიტრი ბაქრაძის გაკვალულ გზას. მეცნიერმა დიდი ამაგი დასდო ძველი ქართული ხელნაწერების, სიგელ-გუჯრებისა და მატერიალური კულტურის ძეგლთა გადარჩენის, გამოხვეურებისა და შესწავლის საქმეს. მისი ნაშრომები ორჯერ (1907-1911 წწ.) დაჯილდოვდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლით და მიჩნეულ იქნა „იშვიათ და ძვირფას შენამატად რუსული ორიენტალისტიკისა“.



ახალგაზრდა მკვლევარს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ავალეს ხელნაწერთა მეცნიერული კატალოგის შედგენას. სწორედ ამის შედეგია საკუთარი საფასურითა და დიდი ტექნიკური დაბრკოლების გადალახვით მის მიერ ცალკე წიგნად შედგენილი პირველი და უკვე ბევრი სიახლის მთქმელი პუბლიკაცია: „სამი ისტორიული ხრონიკა“. ნაშრომი მოიცავს იმუხამად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის შეწირულ, ქართული ისტორიოგრაფიისთვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე „შატბერდის კრებულში“ შესულ თხზულებას „მოქცევაი ქართლისაი“-ს, სუმბატ დავითის ძის ქრონიკას (1884 წელს დ. ბაქრაძის მიერ აღმოჩენილ მარიამისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ რომ იყო დაცული) და თვით ექვთიმეს მიერ წიგნსაცავისათვის შექმნილ ე.წ. მესხურ დავითნზე მიწერილ ქრონიკას. ამასთან, მის მიერ მიკვლეულმა და დანამდვილებით დათარიღებულმა „პარხლის სახარებაში“ საშუალება მისცა მას, იმავე პირის მიერ გადაწერილი „შატბერდის კრებულის“ ზუსტად დაეთარილებინა (X საუკუნით). გარდა ამ სახარებისა, ნაშრომში ჩართულია ავტორის მიერ იშხანად, არქეოლოგიური მოგზაურობის პირველი ნაბიჯების დროს, უკვე მიკვლეული რამდენიმე სხვა ხელნაწერის,

წარწერის თუ ნივთის აღწერაც. ხსენებულ „სამ ქრონიკას“ მოჰყვა გამოცემა „წმინდა ნინოს ცხოვრებისა“.

ცალკე აღსანიშნავია „ვეფხისტყაოსნის“ ორმოცდაათიოდე, მთელსა თუ ნაკლებ ხელნაწერზე ექვთიმეს მიერ ჩატარებული სამუშაო, რის შედეგადაც დადგინდა, რომ XVII საუკუნეზე უფრო ადრინდელი ხელნაწერი ჩვენ ვერ არ მოგვეპოვებოდა, რომ ვახტანგ მეექვსეს კრიტიკული გამოცემა დაუბეჭდავს, რომ სხვადასხვა პირთ ბევრი რამე ჩაუმატებიათ ხელნაწერში და ა.შ. კვლევის ამავე რიგში მოხსენიება „აბდულმესიანის“, „როსტომიანის“, „ბეჟანიანის“, „ქილილა და დამანას“, „რუსუდანიანის“, „ომანიანის“, თეიმურამ პირველის თხზულებათა ხელნაწერები, თეიმურამ ბატონიშვილის რუსთველოლოგიური მენიშვნები და სხვა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად მრავალი საზოგადოებრივი და კულტურული საქმის მოთავე და მესვეურია: 1888 წელს მას ირჩევენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრად, 1889 წელს, დიმიტრი ბაქრაძის წინადადებით – საეკლესიო მუზეუმის კომიტეტის წევრად, ხოლო 1907 წლიდან იგი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების თავმჯდომარეა. 1894 წელს აირჩიეს საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის წევრად და მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიური განყოფილების წევრად. 1901 წლიდან იგი გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა და აღმოსავლეთმცოდნეობის თბილისის განყოფილების წევრია, ხოლო 1907 წელს – კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. საფრანგეთში ემიგრაციის შემდეგ, 1922 წელს, საფრანგეთის ნუმისმატიკური საზოგადოებისა და პარიზის აზიური საზოგადოების წევრადაც აირჩიეს.

დიდი ექვთიმე თაყაიშვილი თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელიცაა – მისი პროფესორი და არქეოლოგიის კათედრის გამგე. მეცნიერის მიერ საგანგებოდ შედგენილი სალექციო კურსის კონსპექტებში შედარებით ვრცლად სწორედ წიაღისეული არქეოლოგიაა წარმოდგენილი. მასში ვხედავთ პირველს, უთუოდ ყურადსაღებ ცდებს ჩვენ უნივერსიტეტში არქეოლოგიის კურსისა და ქარ-



„სამართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისთვისაც, პირდაპირ ამიტანა ფანათიურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომსახრო, მით უმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს... რამდენს ვცდილობდი, რას არ ვკიდებდი ხელს, მაგრამ რამდენი რამ მაინც ვერ მოვახსნარი... არ იყო ხალხი, თითოთოროლა კაცის მეტი არ ეპარებოდა ასეთ საქმეს; არ ესმოდათ ამის მნიშვნელობა და გემო!.. თითქოს გვყავდა ინდივიდუალური, მაგრამ ნამდვილად და ღრმად ვერავინ ხვდებოდა კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და აღდგენის მისწრაფების აუცილებლობას!“ – ექვთიმე თაყაიშვილი




ცნობა პარიზის ნუმისმატიკური საზოგადოების წევრად ექვთიმე თაყაიშვილის აირჩევის შესახებ



თული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის შექმნისა, რისი დავიწყებაც არ შეიძლება. 1917 წლამდე ექვთიმე საკუთარ თავს ერთადერთ მთხრელ არქეოლოგს უწოდებს და, მართლაც, როგორც წიაღისეული ნივთიერი ძეგლების წარმომჩენი და შემსწავლელი, იგი ისეთივე კვალიფიციურ და ნაყოფიერ მკვლევარად გვევლინება, როგორც მიწისზედა ძეგლების თუ წერილობით საისტორიო წყაროთა შესწავლასა და გამოქვეყნებაშია. სწორედ მისი წყალობით დაინერგა რამდენიმე ძირითადი არქეოლოგიური ხასიათის დებულება. წინსწრებით მიუთითა მომდევნო თაობათა არქეოლოგებს ისეთი უსათუოდ შესასწავლი ძეგლები, როგორებიცაა ამაჟამად უკვე საფუძვლიანად გამოკვლეული ვანის ნაქალაქარი, საჩხერის ყორღანები, წალკა-თრიალეთის ძველი სამარხები და სხვა. მკვლევარს ბევრი არქეოლოგიური ნივთი საკუთარი ხარჯითაც აქვს შეძენი-

ლი – ასე მაგალითად, საჩხერის გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა. მეცნიერის შემოქმედებითი მუშაობის განხილვისას მისი გულისტკივილიც გავიხსენოთ: „საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული დავიწყებისა და ხშირად დაღუპვისთვისაც, პირდაპირ ამიტანა ფანტიურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მეტი მომესწრო, მით უმეტეს, რომ ჩემ თანამედროვეთაგან აღარავინ მისდევდა ამ საქმეს... რამდენს ვცდილობდი, რას არ ვკიდებდი ხელს, მაგრამ რამდენი რამ მაინც ვერ მოვასწარი... არ იყო ხალხი, თითოთადაც კაცის მეტი არ ეკარებოდა ასეთ საქმეს; არ ესმოდათ ამის მნიშვნელობა და გემო!... თითქოს გვყავდა ინტელიგენცია, მაგრამ ნამდვილად და ღრმად ვერავინ ხვდებოდა კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და ადგილობრივი შესწავლის აუცილებლობას!“

ამ მხრივ მეტიც შეიძლება ითქვას. მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრი ნ. დერჟავინი ერთ-ერთ სხდომაზე დანაწიებით აცხადებს: „სამწუხაროა, რომ ექვთიმე თავაიშვილს არ შეუძლია მთელი თავისი დრო მეცნიერულ მუშაობას მოახმაროს“. მართლაც, მეცნიერი თავს არ არიდებს უმადურსა და მძიმე ჯაფას – თავად დაიაროს და დაძებნოს საქართველოს კუთხე-კუნჭულში მიმალული სიძველეები. ექვთიმე თავაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა თავმდაბლობის მაგალითიცაა – არ მორიდებოდა იმ „შავ საქმეს“, რაც მომავალი თაობის მეცნიერებს გაუკვალავი გზის სიძნელეს გაუადვილებდა: „სულ იმას ვშიშობდი, ის არ დაიკარგოს, ის არ წახდეს, ყველაფერი აღვწერო, რაც შეიძლება მეტი გამოვცე, გადმოვილო, შევიძინო, შემოვასწავრო, მუზეუმი შევქმნა, რომ შეინახოს ეს ყველაფერი-მეთქი და



ასე მიდიოდა ჩემი მუშაობა... სად მქონდა იმის დრო და საშუალება, რომ დავმჯდარიყავი და ნამდვილი გამოკვლევები მეწერა?! რაც მოვასწარი, ისიც მიკვირს! როგორ არ მეზარებოდა? როგორ ვახერხებდი ამდენ რამეს, პირდაპირ საკვირველია! ამას ყველაფერს იმისთვის ვაკეთებდი, რომ მერე გამოჩნდებოდნენ მკვლევარები და ყველაფერს შეისწავლიდნენ. მართლაც, აბა რას იზამდა, თუ გინდა ჯავახიშვილი, თუ გინდა სხვები, ეს რომ არ ყოფილიყო შეკრებილი და გამოცემული?! ისინი ხომ ჩემი გამოცემებით სარგებლობდნენ...“

ერთი რამ ცხადია – ექვთიმე თავაიშვილი იყო ერთ-ერთი იმთაგანი, ვისი დაულალავი შრომის წყალობითაც საქართველოში ეროვნულ სამუზეუმო საქმეს ჩაეყარა საფუძველი. მისივე სიტყვით, იგი „მეძებარი ძალღვივით ეძებდა ნივთებს!“ – მისხალ-მისხალ აგროვებდა

ეროვნული საგანძურის ფასდაუდებელ ნიმუშებს. აქვე უნდა აღინიშნოს ექვთიმე თავაიშვილის როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრის, ხოლო შემდგომ მისი თავმჯდომარის დამსახურება სამუზეუმო ექსპონატების მოძიებისა და მოვლა-პატრონობის საქმეში.

XX საუკუნის დასაწყისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი ჩაენაცვალა. სწორედ ამ უკანასკნელმა იტვირთა ქართული კულტურის ძეგლების, ნივთებისა და წარსულის სხვა ნაშთების მოძიება, შესწავლა, შეგროვება და მათი გადარჩენა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობასაც ექვთიმე თავაიშვილი ხელმძღვანელობდა. საზოგადოებამ დაიწყო ფართო საექსპედიციო



სამუშაოების განხორციელება. ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა ექვთიმე თაყაიშვილის მიერ I მსოფლიო ომის მიწურულს, 1917 წელს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მოწყობილი ტაო-თორთუმ-ისპირის ექსპედიცია. უტყუარმა ინტუიციამ თუ უკარნახა მეცნიერს, მიეხედა და აღეწერა საქართველოს უძველესი და, ალბათ, ყველაზე „მოწყვლადი“ რეგიონი, სადაც ქართული ისტორიული ძეგლები განადგურების პირას იყო მისული. სარგებლობს იმით, რომ თურქეთის ფრონტზე რუსეთის ჯარის წინსვლის შედეგად მტკვრისა და ჭოროხის სათავეები – ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერა – გათავისუფლდა და მაშინვე იღებს იქ ექსპედიციის მოწყობის გადაწყვეტილებას, რაც, მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, არ გულისხმობდა არც მგზავრობის სიადვილეს და არც უსაფრთხოებას. ექვთიმე ანდერძსაც კი უტოვებს მეუღლეს

ექვთიმე თაყაიშვილი თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელიცაა – მისი პროფესორი და არქეოლოგიის კათედრის გამგე. მეცნიერის მიერ საგანგებოდ შედგენილი სალექციო კურსის კონსპექტებში შედარებით ვრცლად სწორად წინასწარმეტყველებული არქეოლოგიის წარმოდგენილი. მასში ვხედავთ პირველს, უთუოდ ყურადსაღებ ცდებს ჩვენ უნივერსიტეტში არქეოლოგიის კურსისა და ქართული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის შემდგენის, რისი დავიწყებაც არ შეიძლება.

– თუ ცოცხალი არ დავბრუნდი მოკრძალებით დამმარხეთ, ქონება კი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას დარჩესო. ერთი საინტერესო დეტალიც გავიხსენოთ. უკვე ემიგრაციიდან დაბრუნებული მეცნიერი ტაო-თორთუმ-ისპირის ძეგლთა ფოტოტაბულების სის შეკვრებაზე მუშაობდა შინ, გიორგი ლომთათიძესთან ერთად. ახალგაზრდა კოლეგას მისთვის უკითხავს: „ბატონო ექვთიმე, ხუროთმოძღვრების ძეგლებზე სამუშაოდ უნივერსიტეტშივე ემზადებოდით განა, ასე საფუძვლიანად რომ გცოდნიათ ეს ყველაფერი?“ – „აჰ, არა ბატონო, უნივერსიტეტში მე პედაგოგად ვემზადებოდი და მერე ჩამოვედი და ვნახე, რომ ძეგლები იღუპება და კაცი მაგათი შემსწავლელი აღარავინაა (ბაქრაძე ხომ ადრე გარდაიცვალა!), მოვკიდე ხელი, ჩემით შევისწავლე ლიტერატურა და ისე გავიწაფე. ახლა კი მთელი სკოლა და ინსტიტუტია და დეტალურად სწავლობენ...“

წარმატებით განხორციელებულმა ამ ექსპედიციამ შეისწავლა ხახულის, ექექის, ოშკის, იშხნის, ბანას, პარხლის ტაძრები, თორთუმის ციხე და სხვა ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები. გაკეთდა მათი მეცნიერული ანაზღაურები და გეგმები. დაფიქსირდა მატერიალური კულტურის ძეგლები და მათი არქიტექტურული დეტალები. გადმოღებულ იქნა ფრესკებიდან ასლები და სხვა. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი აცხადებდა, „ამ ექსპერსიების დროს არის უმეტესად შეგროვილი ჩვენი მუზეუმ-ბიბლიოთეკის ნივთები, ხელნაწერები, სიგელ-გუჯარნი, სურათები, ფრესკები და გეგმები“. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სამეცნიერო სამუშაოთა შედეგები ხშირად ქვეყნდებოდა საზოგადოების გამოცემებში. ამისათვის დაარსდა ორი სერია: „ძველი საქართველო“ და „საქართველოს სიძველენი“. თუ პირველში ძირითადად სა-

მეცნიერო შრომები ქვეყნდებოდა, გამოკვლევები ჰუმანიტარული მეცნიერების სხვადასხვა დარგში, მეორეში ისტამბოლთა თვით წყაროები: სიგელ-გუჯარები, ხელნაწერები, ისტორიული წერილები და სხვა დოკუმენტები. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ „საქართველოს სიძველენის“ გამოცემა განაახლა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულმა ცენტრმა. საქართველოს სამუზეუმო განძეულობის საპატრონოდ ექვთიმე თაყაიშვილის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ, 1922 წელს, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას სათავეში ივანე ჯავახიშვილი ჩაუდგა. მისი სიტყვით, ღვაწლმოსილი მეცნიერის წყალობით საქართველოს მუზეუმი ჩვენი ქვეყნის უდიდეს სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებად გადაიქცა. ექვთიმე თაყაიშვილმა არა მხოლოდ ქართული სამუზეუმო ექსპონატების მო-

ციება-შეგროვება ითავა, არამედ მასვე დაევალა საფრანგეთში გატანილი ეროვნული საგანძურის მოვლა-პატრონობის ურთულესი საქმე. მეტიც – ემიგრაციაში, უკიდურეს სიდუხჭირეში მყოფი მეცნიერი ქართული ძეგლების შექნაზეც კი ზრუნავს. რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, უცილო ფაქტია, რომ ემიგრაციაში ყოფნისას (1937 წელს) ექვთიმე თაყაიშვილმა ქართულ ენაზე დასტამბა „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს“... მაშინ, როდესაც ხან ნიუ-იორკის ხელოვნების მუზეუმი ევაჭრებოდა ქართულ მინანქარს, ხან ბრიტანეთის მუზეუმს სურდა ახალგორის განძის ხელში ჩაგდება, ხანაც თავად ობოლენსკის ქვრივი, დადიანის ასული ითხოვდა მამისეული ქონების დაბრუნებას, რომელთან დავამაც მეცნიერს დიდი დრო და ენერჯია წაართვა... იყო ფაშისტების მხრიდან ეროვნული განძის ხელყოფის მცდელობაც. და მაინც, მიუხედავად საგანძურის ხელყოფის არაერთი საშიშროებისა, მეცნიერის თავდადება 1945 წელს ნიადაგი შეამზადა, რათა სამშობლოს ეროვნული საგანძური დაბრუნებოდა.

ოცდაოთხწლიანი განშორების შემდეგ განძთან ერთად ბრუნდება სამშობლოში. პარიზიდან წამოსულს მოკრძალებულად უთხოვია მისთვის კოსტუმი შეეძინათ – ასეთი შორეული გზისთვის ძალზე შილიფად ვარ ჩაცმულიო. როგორც კი მშობლიურ მიწაზე დადგამს ფეხს, აკაკის სიტყვებს გაიხსენებს: „სწეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო...“ ოთხმოცდაორი წლის მცხოვანი მეცნიერი ახალგაზრდული შემართებით უბრუნდება სამეცნიერო მოღვაწეობას...

2002 წელს წმინდა სინოდმა ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანად – „ექვთიმე ღვთისკაცად“ შერაცხა. მართლაც, რომ არა ღვთის შეწევნა და მადლმოსილება, შეძლებდა კი ბატონი ექვთიმე, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ასეთი შრომა გაეწია – ყოფილიყო მრავალი ეროვნული საქმის წამომწყები და მესაძირკვლე... ექვთიმეს ადრეულ ასაკში დაობლებაც თითქოს ღვთიური ნიშანი იყო მისი მოწამეობრივი სიცოცხლის დასაწყისისა, იმ ღვაწლმოსილი სიცოცხლისა, რომელიც მადლიერმა შთამომავლებამ წმინდანის შარავანდედით შემოსა. ■



ჰერმან პარსინგერი

სამუზეუმო სფეროს ლიდერი გერმანიაში

ინტერვიუ > ნათია ხულუშაური

2009-2012 წლებში ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელდა საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ერთობლივი „თვინინგის“ – თანამშრომლობის პროექტი, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობასა და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმებთან თანამშრომლობას ისახავდა მიზნად. პროგრამას, რომელიც ათწლეულზე მეტი ხნის მანძილზე არსებობს, დიდი წარმატება ჰქონდა აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში, რომლებიც მოგვიანებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები გახდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ კულტურის სფეროში „თვინინგის“ პროექტი პირველად სწორედ საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მიერ იქნა განხორციელებული.



ცნობილი მეცნიერი და ანტიკური ეპოქის ერთ-ერთი წამყვანი მკვლევარი, პროფესორი ჰერმან პარსინგერი პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდს (ევროპაში ყველაზე დიდი კულტურის სფეროს დაწესებულება, რომელიც 17 მუზეუმს, ბიბლიოთეკებსა და არქივებს აერთიანებს) 2008 წლიდან ხელმძღვანელობს

ბატონო ჰერმან, თქვენ ხელმძღვანელობთ კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ უდიდეს ინსტიტუციას ევროპაში – პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდს. რას გვეტყოდით ასეთი კომპლექსური დაწესებულების შესახებ?

პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი აერთიანებს ბერლინის სახელმწიფო მუზეუმებს, ბიბლიოთეკებსა და პრუსიის სახელმწიფო არქივს. რა თქმა უნდა, საკმაოდ რთულია ასეთი დიდი დაწესებულების ხელმძღვანელობა. ჩვენი კოლექციები ფაქტობრივად ყველა ტიპის კულტურულ მემკვიდრეობას მოიცავს: ხელოვნებასა და მატერი-ალურ კულტურას, ლიტერატურას, დოკუმენტებსა და მუსიკალურ არქივს, ეს კი უნიკალური შესაძლებლობაა თითოეული იმ დაწესებულებისთვის, რომელიც ჩვენ გაერთიანებაშია, განსაკუთრებით დღეს, ციფრულ ეპოქაში, როდესაც საშუალება გვაქვს, ერთმანეთს დავუკავშიროთ ყველა მუზეუმი, ბიბლიოთეკა თუ არქივი. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენს მუზეუმებში, ბიბლიოთეკებსა თუ არქივებში დავამკვიდროთ ურთიერთთანამშრომლობის ტრადიცია და იმის აღქმა, რომ ისინი საერთო მიზნებს უნდა ემსახურებოდნენ, რათა მუდმივად ვითარდებოდნენ.

თქვენი აზრით, სად არის მუზეუმის ადგილი ქვეყნის დიდ, პოლიტიკურ რუკაზე?

მუზეუმები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის ცხოვრებაში, რადგან, უპირველეს ყოვლისა, ამ დაწესებულებაში ხდება ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და კვლევა. ამასთანავე, მუზეუმები იყენებენ ამ მემკვიდრეობას საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ისინი ამ გზით ცდილობენ, დაინტერესონ ხალხი ხელოვნებით, ისტორიითა და კულტურით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე საზოგადოებისთვის. გერმანიაში მუზეუმები და სხვა კულტურის სფეროს დაწესებულებები სახელმწიფოს მხრიდან დიდი მხარდაჭერით სარგებლობენ. განსაკუთრებული მხარდაჭერა აქვს პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდს ბერლინში, რადგან ჩვენი დიდი პროექტები – მუზეუმების კუნძულისა და ბერლინის სასახლის რეკონსტრუქცია ჰუმბოლდტის ფორუმთან ერთად – ჩვენი როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი მდიდარი კულტურის მქონე ქვეყნის სურათს ქმნიან.

თავად მეცნიერი ბრძანდებით, ფიქრობთ თუ არა, რომ მეცნიერული მუშაობა სამუზეუმო ცხოვრების ფუნდამენტია?

კვლევა მუზეუმის ფუნდამენტია. თუ მუზეუმი კვლევაში არ არის ჩართული,

ის უბრალოდ მატერიალური კულტურის საწყობად იქცევა. სწორედ კვლევა იძლევა წარსულის ახლებურად დანახვის საშუალებას და აღადგენს ისტორიას, რომელსაც შემდეგ გამოფენებით ვუყვებით ხალხს. მსოფლიოს მუზეუმებში ჯერ კიდევ ბევრი გამოუკვლეველი კოლექციაა, რომლებიც უამრავ საიდუმლოს ინახავს და ელის თავის დროს წარსულის ჩვენეული აღქმის შესაცვლელად. რაც შეეხება საკონსერვაციო კვლევას, ის უბრალოდ აუცილებელია იმისთვის, რომ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა არ დაუკარგოთ, რადგან მისი ნაწილი მძიმე მდგომარეობაშია და მუდმივ მოვლას საჭიროებს.

სულ ცოტა ხნის წინ დასრულდა პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის „რებრენდინგის“ პროცესი. შეგიძლიათ, დაგვისახელოთ რამდენიმე საკითხი, რომელიც განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ისეთი კულტურის სფეროს დაწესებულებისთვის, როგორც თქვენია? რა არის XXI საუკუნის მუზეუმების ზოგადი მისია?

დღეს დამაჯერებელი „ბრენდინგი“ და დაწესებულების მისიის სწორი გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო: ის გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ხედავს დაწესებულება

თავის თავს და, ამასთანავე, წარმოადგენს გზავნილს საზოგადოებისთვის, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას იქმნის მასზე. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია იყო, რომ ჩვენი ახალი „ბრენდინგის“ საშუალებით ცხადგვეყო, რომ პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდში შემავალი ყველა მუზეუმი, ბიბლიოთეკა, არქივი თუ კვლევითი დაწესებულება ერთსა და იმავე ინსტიტუციას ეკუთვნის და რომ ისინი იზიარებენ საერთო ხედვის ძირითად საკითხებს. ასევე, გვსურდა შეგვეჩვენა ამ დაწესებულებების ტრადიციები და დიდი წარსული თანამედროვეობასთან, სიახლესთან და ეს ყველაფერი საზოგადოებაზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია XXI საუკუნის მუზეუმისთვის და დიდად არ განსხვავდება იმისგან, რაც XX და XIX საუკუნეებში იყო მნიშვნელოვანი: მუზეუმები, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა კულტურის სფეროს დაწესებულება, ახლო კონტაქტში უნდა იყვნენ ხალხთან, ისინი გამუდმებით უნდა ცდილობდნენ ახალი დამთვალიერებლის მოზიდვას, რათა შეძლონ ხალხის დაინტერესება ხელოვნებით, ისტორიითა და კულტურით. ამ მიზნის მისაღწევად ისინი უნდა იყენებდნენ ყველაზე თანამედროვე და ინოვაციურ მეთოდებსა და ტექნოლოგიებს. როდესაც მუზეუმი ახლო კონტაქტშია თავის დამთვალიერებელთან, არასოდეს ხდება მოძველებული. სწორედ ეს არის წარმატებული მუზეუმის საიდუმლო XVIII საუკუნიდან მოყოლებული.

როგორ უნდა უზრუნველყოს მუზეუმმა საზოგადოების ჩართულობა სამუზეუმო ცხოვრებაში?

საზოგადოებრივ ჩართულობას ბევრი სხვადასხვა ასპექტი აქვს. პირველ რიგში, მუზეუმის პროგრამები ხალხზე უნდა იყოს ორიენტირებული, საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტზე, რაშიც იგულისხმება როგორც სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი, ასევე განსხვავებული განათლებისა თუ კულტურული და რელიგიური წარსულის მქონე ადამიანი. მუზეუმმა ყველას კეთილგანწყობა უნდა დაიმსახუროს. ასევე მნიშვნელოვანია საინტერესო ღონისძიებების მოწყობა, მუდმივმოქმედ გამოფენებთან დროებითი გამოფენების შეთავსება და მათი დაკავშირება სხვა-

დასხვა კულტურულ პროგრამებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ჩართულობა ფინანსურ ჩართულობასაც ნიშნავს: მდიდარი ხალხი გარკვეულ ვალდებულებას უნდა გრძნობდეს და ეხმარებოდეს კულტურულ დაწესებულებებს, რომლებიც მუდმივად განიცდიან თანხების სიმწირეს, გერმანიაშიც კი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის, კერძოდ, ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების მიერ განხორციელდა თვინინგის პროექტი, რომელსაც ევროკავშირი უჭერდა მხარს. რატომ გადაწყვიტეთ ამ პროექტში მონაწილეობის მიღება?

ვფიქრობ, პროექტის ყველა მონაწილემ ჩემი დაწესებულებიდან ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება მიიღო. ხანდახან გეხმარება იმის გაგება, თუ რამოდენა სირთულეების გადალახვა უწევთ სხვებს, რათა უკეთ შეაფასო საკუთარი მდგომარეობა და ღირსეულად გეჭიროს თავი. მეორეს მხრივ, უდიდეს პატივს ვცემ საქართველოს იმ არაჩვეულებრივი სამუზეუმო ქუჩის მშენებლობისთვის, რომელიც უკანასკნელი წლების განმავლობაში დაიწყო თბილისის ცენტრში. მის დასრულებამდე ჯერ კიდევ ბევრია საჭირო, თუმცა ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ შევძელით, თქვენთან ერთად, მოკრძალებული წვლილი შევვტანა მუზეუმების ქუჩის პროექტში.

როგორი იქნება პროექტის ზოგადი შეფასება თქვენი მხრიდან და რამდენად მნიშვნელოვანია ის ჩვენი მუზეუმებისთვის?

ყველამ იცის, რომ საქართველო არ არის მდიდარი ქვეყანა და სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველა აღფრთოვანებულია იმით, რასაც საქართველო ქალაქის ცენტრში ქმნის. კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით საქართველო უმდიდრესი ქვეყანაა და ამ პროექტის საშუალებით ძალიან კარგი ინვესტიცია მოხდა საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვის საქმეში. ის ინვესტიცია, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში განხორციელდა, ასახავს ქართველი ხალხის წარსულ მიღწევებს და, ამდენად, კარგი

სტიმული იქნება ქართველებისთვის დღეს, რადგან როდესაც წარსულს კარგად იაზრებ, უკეთესი მომავლის შექმნის სურვილი გიჩნდება. გარდა ამისა, ამ პროექტისა და იმ კონტაქტების საშუალებით, რომლებიც ეროვნულ მუზეუმს მსოფლიო მასშტაბით აქვს, ყველას ეძლევა შესაძლებლობა, მეტი გაიგოს საქართველოსა და იქ განვითარებული კულტურული მოვლენების შესახებ.

2012 წლის შემოდგომაზე საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა უმასპინძლა კონფერენციას „რას ნიშნავს მუზეუმი დღეს? წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა“. ჩვენი მუზეუმის ცხოვრებაში ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, რადგან სამუზეუმო სფეროს ლიდერები მთელი მსოფლიოდან ჩამოვიდნენ საქართველოში, რათა ამ სფეროში დღეს არსებულ პრობლემებსა და მიღწევებზე ემსჯელათ. ასეთი ტიპის კონფერენციებსა და ფორუმებზე რას გვეყბოდით?

მუზეუმები და ყველა სხვა კულტურული და სამეცნიერო დაწესებულება აქტიური საერთაშორისო მოთამაშეები უნდა იყვნენ. სწორედ ამიტომ იყო მნიშვნელოვანი ამ კონფერენციის ორგანიზება, სხვადასხვა ქვეყნიდან სამუზეუმო სფეროს ლიდერების საქართველოში მოპატიჟება და თანამედროვე სამუზეუმო საკითხებზე მსჯელობა. ყველას თავისი მიზნები და სირთულეები აქვს და მხოლოდ ისინი აღწევენ წარმატებას, ვინც გამუდმებით სწავლობს სხვებისგან.

და ბოლოს, როგორ გეახებათ ცოტა ხნის წინ დამზობილებული ბერლინის სახელმწიფო მუზეუმებისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მომავალი ურთიერთობა?

დიდი იმედი მაქვს, რომ ერთად ბევრ პროექტს განვახორციელებთ როგორც საგამოფენო, ისე სამეცნიერო კვლევის მიმართულებით. ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაღრმავოთ ჩვენი ურთიერთობა. საქართველო მშვენიერი და ძალიან საინტერესო ქვეყანაა და ყველა იმ ადამიანს, რომელიც პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდიდან იყო ჩართული თანამშრომლობის პროგრამაში, საქართველოში დაბრუნება სურს. ■



ზოოლოგიური კოლექციების ახალი სისოცხლე

ისტორია > შერა ფხაკაძე

საბუნებისმეტყველო კოლექციების ისტორია 1852 წლიდან იწყება, როდესაც რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების საბუნებისმეტყველო, ეთნოგრაფიული და ისტორიული კაბინეტის ბაზაზე პირველად დაარსდა მუზეუმი. 1854-1857 წლებში საბუნებისმეტყველო კოლექციების საერთო რაოდენობა 2783 ეგზემპლარს შეადგენდა, მათ შორის იყო ნამარხთა 342, მცენარეთა 333 და ცხოველთა სამყაროს 2108 ნიმუში. ეს მასალა დაედო საფუძვლად საბუნებისმეტყველო კოლექციებს.

XIX საუკუნის შუა ხანებში საქართველოს სამუზეუმო საქმიანობის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ავსტრალიელმა მეცნიერმა და ნატურალისტმა ფრიდრიხ ბაიერმა, რომელიც 1859 წელს საბუნებისმეტყველო კაბინეტის კონსერვატორად იქნა მიწვეული. მისი ხელმძღვანელობით მასალების შესაკრებად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილი ექსპედიციების წყალობით ფონდებს უამრავი ექსპონატი შეემატა.

1866-1903 წლებში განყოფილებას ხელმძღვანელობდა მუზეუმის მაშინდელი დირექტორი, გამოჩენილი ბუნებისმეტყველი და ნატურალისტი გუსტავ რადე. მისი მოღვაწეობის პერიოდში ექსპედიციები ხორციელდებოდა კავკასიის მთელ ტერიტორიაზე. სავსე ფუნდისტური საქმიანობა ტარდებოდა აგრეთვე კავკასიის მომიჯნავე ტერიტორიებზეც.

მუზეუმის ზოოლოგიური კოლექციების შესავსებად, 1866 წელს, რადემ მოაწყო პირველი ექსპედიცია თალიშში (ლენქორანის ოლქში). ამ ექსპედიციის შედეგად შეიძინა მუზეუმმა ფრინველებისა და ორი ვეფხვის ფიტული ლენქორანიდან, რომლებიც ახლა ზოოლოგიური კოლექციების ტყავის ფონდშია დაცული. ამავე წლის ზაფხულში რადემ იმოგზაურა მარშრუტით ახალციხე-არდაგანი-მტკვრის სათავე-ყარსი-ჩალდირის ტბა-ახალქალაქი-ბორჯომი. ექსპედიციებში მონაწილეობის მისაღებად და მოპოვებული მასალის მოსაწესრიგებლად გ. რადე დროდადრო იწვევდა მკვლევრებს, ნატურალისტებს, მონადირეებს და ა.შ.



ამ ექსპედიციების შედეგად მოპოვებული მასალით მდიდრდებოდა ზოოლოგიის განყოფილება; პარალელურად ხდებოდა მასალის ტექნიკური და მეცნიერული დამუშავება და მისი ინვენტარიზაცია.

ზოოლოგიური ფონდები ივსებოდა აგრეთვე სხვა, შორეული ქვეყნებიდან, ორგანიზაციებიდან ან კერძო პირებისგან შემოსული მასალით, იქნებოდა ეს გაცვლის წესით, შეწირულობითა თუ შესყიდვის გზით. 1899 წელს გ. რადემ გამოსცა ორი ტომისგან შემდგარი კატალოგი „Коллекции Кавказского музея“, სადაც მოცემულია ზოოლოგიურ ფონდებში დაცული უხერხემლო და ხერხემლიანი ცხოველების სრული ტაქსონომიური სია. ეს კატალოგი ახლა ზოოლოგიურ საცავში ინახება და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

რადეს მიერ ჩატარებული ექსპედიციების შედეგად ფონდებში ექსპონატთა რიცხვმა 198 000 ეგზემპლარს მიაღწია. მისი ინიციატივით შეგროვილი ხერხემლიან ცხოველთა დიდძალი

მასალა ტექნიკურად დაამუშავა გერმანელმა ნატურალისტმა, მონუმენტალისტ-ტაქსიდერმისტმა კარლ კრელმა. მის მიერ მუზეუმში შექმნილი ტაქსიდერმიული ლაბორატორია მუზეუმის გარდა სხვა ორგანიზაციებსა და კერძო პირებსაც ემსახურებოდა. კ. კრელის ნაშეუქრები დღესაც გამოირჩევა შესრულების მაღალი ხარისხით.

1920 წელს ზოოლოგიის განყოფილებას ორნითოლოგი ივანე ჩხიკვიშვილი ჩაუდგა სათავეში. ამ პერიოდში საფონდო მასალამ 361 152 ეგზემპლარს მიაღწია.

რადეს მოღვაწეობის დროს შეგროვილმა დიდძალიანი ცხოველების ფიტულებმა დასაბამი მისცა მომავალ მუდმივ ზოოლოგიურ გამოფენას, რომელიც 1928 წელს გაიხსნა. გამოფენის პირველი ორი რეგისტრი წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ბიოლოგიური ჯგუფებით, ხოლო მესამე მოიცავდა საქართველოს (კავკასიის) ბინადარი ცხოველების სისტემატიკურ ჯგუფებს. გარდა ამისა, მესამე სართულზე არსებული ვიტრაჟები და

კარადები წარმოდგენილი იყო სახალხო მეურნეობისთვის მნიშვნელოვანი სახეობებით. გამოფენამ 1970 წლამდე იარსება.

XX საუკუნის I ნახევარში განყოფილების მუშაობაში განსაკუთრებით აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი გამოჩენილი ზოოლოგები ფ. ზაიცევი, ნ. ნიკოლსკი და სხვები. ზაიცევა საერთო მასალიდან ენტომოლოგიურ მასალათა ფონდი გამოყო, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა და შესატყვისი ფაუნით ამდიდრებდა კიდეც.

ომის წლები (1941-1945) ღარიბი იყო ექსპედიციებით, შემოსული მასალითა და სამეცნიერო კონტაქტებით, ამიტომ მთელი ძალისხმევა ფონდების დაცვისა და მოწესრიგებისაკენ იყო მიმართული.

1964-1969 წლებში განყოფილებას ხელმძღვანელობდა ენტომოლოგი ი. ჯამბაზიშვილი. ამ პერიოდში გაგრძელდა საქართველოს ტერიტორიის ფაუნისტური კვლევა, რომელიც საფუძვლად დაედო საქართველოს დაყოფას ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ რაიონებად.

ფონდებში დაცულ მასალათა საერთო რაოდენობამ 480 764 ეგზემპლარს მიაღწია.

1970 წლიდან ზოოლოგიის განყოფილებას ენტომოლოგი არნ. გეგეჭკორი ჩაუდგა სათავეში. მისი ინიციატივით შემუშავდა კვლევის ახალი გეგმა, რომლის თანახმად საკვლევ ტერიტორიად კავკასია განისაზღვრა. კავკასიაში ჩატარებულმა ექსპედიციამ მნიშვნელოვნად გაზარდა და გაამდიდრა ზოოლოგიური კოლექციები, რომლებიც პარალელურად შემოწირული მასალითაც ივსებოდა.

ამჟამად მსოფლიოს წამყვანი მუზეუმების მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით მიმდინარეობს ხანგრძლივი ისტორიის მქონე ზოოლოგიური კოლექციების აღრიცხვის თანამედროვე სისტემაზე გადაყვანა, ინვენტარიზაცია-შეკვრება, რევიზია, მასალათა რესტავრაცია, დიგიტიზაცია. მოეწყო საექსპოზიციო ფონდი, რომელიც მნახველს აცნობს საქართველოს, ასევე ზოგადად კავკასიისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ცხოველთა ბიომრავალფეროვნებას, ზოოლოგიური კოლექციების ისტორიას 1852 წლიდან, მასალას, რომელიც შემოტანილია გ. რადეს მოღვაწეობის დროს.



საბუნებისმეტყველო კოლექციები განთავსებულია საბუნებისმეტყველო

კორპუსის IV სართულზე. ექსპოზიცია, რომელზეც ტაქსიდერმისტ კრელის მიერ ჯერ კიდევ 1953 წელს შექმნილი და განახლებული ცხოველების ფიტულებია წარმოდგენილი, 2013 წლის მაისში გაიხსნა. ■



ფოტოებზე ალბეჯდელი ისტორია

პროექტი >

ლიკა მამაცაშვილი, ლიკა ლუღუშაური,
ნინო ტაბუცაძე

დimitრი ერმაკოვი იმ ბრწყინვალე ფოტოგრაფთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც მდიდარი, უნიკალური და ყოვლისმომცველი ფოტოგრაფიული მათიანე შექმნეს. მისი ფოტოგრაფიული მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი, რომელიც XIX საუკუნისა და XX საუკუნის I მეოთხედის სინამდვილეს ასახავს, დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფოტოფონდში ინახება.

XIX საუკუნის სამოციან წლებში საქართველოში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გამოჩენილი ფოტოგრაფი და ფოტოკოლექციონერი, დიმიტრი ერმაკოვი (1846-1916).

წიგნების, ფოტოგრაფიული კატალოგების, ფოტოაპარატებისა და სხვა ტექნიკის გარდა მისი კოლექცია 127 ალბომის, 22 660 სურათის, 15 536 მინის ნეგატივისა და 27 655 ცალკეული სტერეოგამოსახულებისაგან შედგება. როგორც კოლექციონერმა, მან თავი მოუყარა იმ მნიშვნელოვან და საეტაპო ისტორიულ-ფოტოგრაფიულ მასალას, რომელიც XIX საუკუნეში იქმნებოდა. დიმიტრი ერმაკოვის დამსახურებაა ის, რომ მან საქართველოში მოღვაწე ფოტოგრაფების მეშვეობით გადაარჩინა, შეინახა და კატალოგის ფორმა მისცა.

2000 წელს დაიწყო დიმიტრი ერმაკოვის ფოტოარქივის რესტავრაციისა და კონსერვაციის პროექტი. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ჰოლანდიური ფონდი Stichting Horizon და ნიდერლანდების ფოტომუზეუმი როთერდამში. პროექტის მიზანი იყო საარქივო მასალის გადარჩენა და მასზე ალბომები და ნიშნები ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მეცნიერებისა და ფართო საზოგადოებისთვის.

დიმიტრი ერმაკოვი დაიბადა 1846 წელს. მამამისი საქართველოში მოღვაწე იტალიელი არქიტექტორი და მშენებელი, ლუდოვიკო კამბიაჯო იყო. დედა, ანა ერმაკოვა, მოლოკნების ოჯახს ეკუთვნოდა. კავკასიაში რუსეთის მთავარმართებელმა ლუდოვიკო კამბიაჯო სამუშაოდ ყირიმში მიიწვია, შემდგომ კი ის ბაქოს რეგიონში, შემახის ოლქში მსახურობდა. სავარაუდოდ, დიმიტრი ერმაკოვი სწორედ იქ დაიბადა. მოგვიანებით ლუდოვიკო კამბიაჯო საქართველოში დაბრუნდა და სახაზინო თეატრი და ქარავასლა ააშენა.

დიმიტრი ერმაკოვი XIX საუკუნის სამოციან წლებში უკვე საქართველოში, მამამისის მეურვეობით სწავლობს ანანურის ტოპოგრაფიულ სასწავლებელში, სადაც ის ფოტოგრაფიას ეუფლება. მიუხედავად იმისა, რომ ის უკანონო შვილი იყო, ლუდოვიკო კამბიაჯო მასზე განსაკუთრებით ზრუნავდა. სწორედ მან წარადგინა და დაუახლოვა დიმიტრი ერმაკოვი იმდრო-

ინდელი საქართველოს მაღალ საზოგადოებას: არქიტექტორებს, მხატვრებს, არქეოლოგებს, ეთნოგრაფებს და დიდი დახმარება გაუწია შვილს ფოტოგრაფიაში მოღვაწეობის პირველ ეტაპზე.

დიმიტრი ერმაკოვის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ ყველაზე ადრეული ცნობა 1877 წლითაა დათარიღებული კავკასიის კალენდრის სამისამართო განყოფილებაში, სადაც აღნიშნულია, რომ ერმაკოვი კავკასიის ნატივი ხელოვნების წამახალისებელი საზოგადოების წევრია, ხოლო ამავე წლის 4 ნოემბრის გაზეთი „კავკაზი“ გვაწვდის ინფორმაციას, რომ თბილისში, მამიკონიანცის სახლში, ბარნოვის ქუჩაზე, ფოტოების მდიდარი კოლექცია იყიდება – სულ 2000 ფოტო, რომელიც დიმიტრი ერმაკოვის მიერ არის გადაღებული მისი თურქეთში ათწლიანი მოგზაურობის დროს.

1874 წელს დიმიტრი ერმაკოვმა თავისი ფოტოები საფრანგეთში, პარიზის X ფოტოგამოფენაზე წარადგინა და ყველასთვის მოულოდნელად უდიდესი წარმატება მოიპოვა. იმდროინდელი პარიზული პრესა მისი ფოტოების მხატვრულ ღირსებებზე ალაპარაკდა. იგი საყოველთაოდ აღიარებულ ფოტოგრაფად იქცა და უამრავი დაკვეთაც მიიღო. მოგვიანებით სპარსეთის შაჰმა ის თავის პირად ფოტოგრაფად მიიწვია, რაც კარგად ჩანს დიმიტრი ერმაკოვის სატიტულო ფურცლიდან, სადაც საგანგებოდაა აღნიშნული ეს ფაქტი. მოგვიანებით დიმიტრი ერმაკოვი მრავალი საერთაშორისო გამოფენის მონაწილე ხდება. იგი სიცოცხლეშივე დაჯილდოვდა 36 უმაღლესი ფოტოგრაფიული ჯილდოთი რუსეთსა თუ უცხოეთში გამართულ საერთაშორისო გამოფენებზე.

1877-78 წლებში დიმიტრი ერმაკოვი, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, სამხედრო ფოტოგრაფის ფუნქციას ასრულებდა

და რუსეთის იმპერატორის საიდუმლო დავალებით იღებდა ფრონტის ხაზს. ეს ფოტოები დღემდე სამხედრო ისტორიკოსების, ანალიტიკოსებისა და ექსპერტების დიდ ინტერესს იწვევს. ბატალური სცენების გარდა მან მრავლად შექმნა ჯარისკაცთა ყოფის ამსახველი ფოტოები, მათ შორის ყარსის ბრძოლის მონაწილეთა ცხოვრების ამსახველი სერიები.

1880 წელს დიმიტრი ერმაკოვი თბილისში ბრუნდება და ქალაქის ცენტრში ხსნის ფოტოატელიეს, სადაც წარმატებით მუშაობს სხვადასხვა ჟანრში. პირველი ატელიე მან ჯერ კიდევ 1874 წელს, მხატვარ ალექსანდრე კოლჩინთან ერთად გახსნა, სადაც ყველანაირი სირთულის შეკვეთებს ასრულებდა – კაბინეტურ პორტრეტებს, ღია ბარათებს და თავიდანვე ავლენდა კომერსანტის ნიჭს.

1897 წელს მას კავკასიის კამბულ ხელოვნებათა ხელშემწყობი საზოგადოების წევრ-კორესპონდენტად ირჩევენ, 1907 წელს იგი მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრია, 1912 წელს კი თბილისის კამბულ ხელოვნებათა საზოგადოების დამფუძნებელი ხდება.

1870 წლიდან ერმაკოვმა რამდენჯერმე იმოგზაურა სპარსეთში. რამდენად ხშირად და რა ხანგრძლივობით იმყოფებოდა თეირანსა და სპარსეთის სხვადასხვა რეგიონში, ჩვენთვის უცნობია. მხოლოდ ის ვიცით, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე მას საკუთარი ფოტოატელიე ჰქონდა თეირანის ცენტრში.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება დიმიტრი ერმაკოვის მიერ ირანში გადაღებული 850 ფოტოგრაფია და ხუთი ალბომი, რომელიც 555 სურათისაგან შედგება. თითოეულ ფოტოს თან ერთვის ძველი რუსული მინაწერი ფოტოს სახელწოდებით და ნომრით. სახელწოდებების მიხედვით ირკვევა, რომ დიმიტრი ერმაკოვი ძირითადად ირანის ჩრდილოეთ პროვინციებში, კასპიის ზღვის რეგიონში და ყუმში მოგზაურობდა.

საგულისხმოა დიმიტრი ერმაკოვის და ანტუან სევრიუგინის მეგობრობა და თანამშრომლობა. ისინი ერთმანეთს 1870-იანი წლებიდან იცნობდნენ. ამ პერიოდში ირანი მრავალი ფოტოგრაფის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა. ანტუან სევრიუგინი და მისი ძმები შეუერთ-



დნენ ფოტოგრაფების ამ დიდ სწრაფვას ირანისაკენ და თავრიზში დასახლდნენ. მალე მათ ფოტოგრაფიული ატელიე გახსნეს თეირანში. დიმიტრი ერმაკოვი და ანტუან სევრიუგინი ირანში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ცნობილია, რომ ეს თანამშრომლობა უფრო კომერციული ხასიათის იყო, ვიდრე შემოქმედებითი. ერმაკოვის რჩევების წყალობით სევრიუგინს მიეცა შესაძლებლობა, ფინანსურად უზრუნველყო საკუთარი ოჯახი. მოგვიანებით ანტუან სევრიუგინმა შექმნა ისტორიული მნიშვნელობის ფოტოების სერია ირანსა და ირანელებზე.

დიმიტრი ერმაკოვი მრავალმხრივი ადამიანი იყო. მას ახლო ურთიერთობა და მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდა საქართველოსა და რუსეთის იმდროინდელ ცნობილ ისტორიკოსებთან, არქეოლოგებთან. იგი არაერთ არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში იღებდა მონაწილეობას და შექმნა საქართველოსა და კავკასიის ისტორიული ძეგლების, ფრესკების, საეკლესიო ნივთების, წიგნებისა და ხელნაწერების დოკუმენტური მატანე. 1892 წელს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, დიმიტრი ბაქრაძის დავალებით ერმაკოვმა მონაწილეობა მიიღო სოხუმ-კალეს არქეოლოგიურ ექსპედიციაში, შემდგომ კი ნიკო მარის ხელმძღვანელობით შავშეთ-კლარჯეთის ექსპედიციებში.

1910 წელს დიმიტრი ერმაკოვი ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით სვანეთის ექსპედიციაში გაემგზავრა, სადაც მან ათასამდე ფოტოსურათი გადაიღო, რომელთა შორის მრავალი არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლია. ბევრია ისეთი, რომელიც დღეს უკვე დაკარგულია და მხოლოდ დიმიტრი ერმაკოვის ფოტოზეა შემორჩენილი.

დიმიტრი ერმაკოვის სახელი იმდენად ცნობილი იყო სამეცნიერო წრეებისათვის, რომ ექსპედიციების თაობაზე მას წინასწარ უთანხმდებოდნენ. ეს ფაქტი კარგად ჩანს რუსი არქეოლოგის, გრაფინია უვაროვას მიერ კავკასიოლოგ ვეიდენბაუმისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში. გრაფინია უვაროვა 1897 წლიდან კავკასიაში მუშაობდა და ყველა თავის ექსპედიციაში რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, ხევსურეთში მხოლოდ დიმიტრი ერმაკოვი მიჰყავდა ფოტოგრაფად. მან კარგად

იცოდა, რომ დიმიტრი ერმაკოვი გადაღებამდე საფუძვლიანად შეისწავლიდა სიძველეებს და ობიექტებს. მართლაც, მის მიერ გადაღებული ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები, ფრესკები, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები, არქიტექტურული დეტალები ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ როგორ არჩევდა ის ობიექტის გადაღების კუთხეს, აღიქვამდა და გადმოსცემდა სივრცეს. იგი იმდენად კარგად იცნობდა ამ საქმეს, რომ ხშირად ისტორიულ ძეგლებს მეცნიერების ხელმძღვანელობის გარეშე იღებდა და შემდეგ კვლევისთვის სთავაზობდა სამეცნიერო წრეებს.

დიმიტრი ერმაკოვი სამეცნიერო კუთხით განიხილავდა საკუთარ ფოტოგრაფიას: ზედმიწევნით აღრიცხავდა, ასათაურებდა, ნომრავდა ყველა ნეგატივს და ფოტოს, თემატურად ყოფდა სურათებს და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ასახავდა საქართველოს, თბილისის ყოფისა და კულტურის განვითარების სხვადასხვა სფეროს. რუსულ ენაზე მან ორი კატალოგი გამოსცა (1896 და 1901 წელს), სადაც მისი ფოტოები ანბანური და თემატური პრინციპით იყო დალაგებული. თავისი გემოვნებით შეადგინა თემატური ალბომები და მზასახით სთავაზობდა როგორც დაინტერესებულ პირებს, ასევე სხვადასხვა ორგანიზაციას.

თბილისის თემატიკა ერმაკოვისთვის განსაკუთრებული იყო. მან შექმნა ძველი თბილისის ქუჩების, მოედნების, ციხეების, ბაზრის, აბანოებისა და მექსიეების, ამქართა საქმიანობის, ოქროსა და ვერცხლზე მომუშავე ხელოსნების, ვაჭრებისა და სხვადასხვა სოციალური ფენის ადამიანის, ქართულ და ევროპულ სამოსში გამოწყობილ მანდილოსანთა სახასიათო პორტრეტები და გადაიღო ქუჩის სცენები. მან ასახა თბილისი როგორც ორი კულტურის გასაყარზე არსებული ქალაქი, განსაკუთრებით დეტალურად კი მისი აზიური ნაწილი, ვინაიდან ის კარგად ხედავდა, როგორ ქრებოდა თბილისური ცხოვრებისა და ყოფის სწორედ ეს მხარე. ვრცელი სერია მიუძღვნა მან ხელოსნების ყოველდღიურ ცხოვრებასაც, რადგან, მისი აზრით, სწორედ ისინი ინახავდნენ ძველი თბილისის წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს ფეოდალური ქალაქიდან კაპიტალისტურზე გადასვლის პროცესში.

ფოტოგრაფის ყურადღება მიიქცია საქალაქო ტრანსპორტის თემაზე თბილისის ევროპულ და აზიურ ნაწილში. მან გადაიღო ვიწრო ქუჩებისთვის დამახასიათებელი გადაადგილების საშუალებები: ცხენი, ურემი, ჯორი და ეტლი, რომელიც ქალაქის ევროპულ ნაწილს ემსახურებოდა. 1883 წელს თბილისში ამუშავდა ე.წ. ცხენის რკინიგზა, იგივე „კონკა“ – ღია ვაგონი მოძრავი სკამებით, რომელიც მხოლოდ ერთი მიმართულებით მოძრაობდა. „კონკას“ ერთი თავისუბრებაც ახასიათებდა – აღმართზე ასვლისას მის ოთხ ცხენს კიდევ ორს უმატებდნენ. თბილისური ტრანსპორტის სერიაში დიმიტრი ერმაკოვმა გადაიღო ბორანი, ტივი და ნავები მტკვარზე – წყლის ტრანსპორტი, რომელიც განსაკუთრებული კოლორით გამოირჩეოდა, შექმნა სერია ნარეკლას ციხეზე.

ასევე დეტალურად აქვს მას გადაღებული ე.წ. მადათოვის კუნძული და წისქვილები მტკვარზე. XIX საუკუნის ორმოციან წლებში ეს კუნძული ქართველი თავადების, ორბელიანების საკუთრება იყო, რომელიც მათ მოგვიანებით გენერალ მადათოვს მიჰყიდეს. როგორც ორბელიანების უბანს, მას პოეტური ადგილის რეპუტაცია ჰქონდა, ხოლო შემდეგ სხვა დატვირთვაც მიეცა. საინტერესოა ორთაჭალის ბაღების, დუქნების, ტივზე მოქიფეების, მუსიკოსების სეროები.

აღსანიშნავია დიმიტრი ერმაკოვის სტუდიური ფოტოგრაფია, სადაც ის პორტრეტებს ზედმიწევნითი სიზუსტით და სიფრთხილით ქმნიდა. ერმაკოვი იყენებდა შუქ-ჩრდილებს, რბილ კონტურებს, დიდ ყურადღებას უთმობდა განათებას. სტუდიისთვის მან სპეციალურად შეიძინა სხვადასხვა დეკორაცია და რეკვიზიტი. თბილისში მისი ფოტოატელიე ლამაზი ევროპული ავეჯით იყო გაწყობილი, მაგიდაზე მუდამ მრავალრიცხოვანი ალბომები იდო. სტენდებზე ფოტოსურათები და ჯილდოები იყო გამოფენილი. ოთახის ერთი კუთხე კი ალექსანდრე მესამის ბიუსტს ეკავა.

თავისი მოღვაწეობის მანძილზე დიმიტრი ერმაკოვი ხშირად ატარებდა სხვადასხვა ექსპერიმენტს ფოტოტექნოლოგიაში. ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს მან მინის ნეგატივის უკანა მხარე შავად შეღებდა, რითაც პორტრეტი უფრო



მკვეთრი და კონტრასტული გახადა. დიმიტრი ერმაკოვი თავისი კარიერის დასაწყისში სველ კოლოიდურ ტექნიკაში მუშაობდა, შემდეგ სხვადასხვა ფორმატის მშრალ ბრომჟელატინის ფირფიტებზე. სურათებს ბეჭდავდა კონტაქტურად, ალბუმინის დღის – ყავისფერი ტონის ქალღმერთი და ძალიან იშვიათად მიმართავდა კადრირებას, ვინაიდან უკვე გადაღებამდე ირჩევდა კომპოზიციას, რომელიც კადრს მთლიანად ავსებდა. მისი შემოქმედებითი სტილისთვის დამახასიათებელია სივრცის მაქსიმალურად აღქმა და გადმოცემა. ერმაკოვი დიდ ყურადღებას უთმობდა ახალი ტექნოლოგიების განვითარებას და აქტიურად იყენებდა მათ თავის საქმიანობაში. იგი თვითონაც ცდილობდა ახალი ობიექტების კონსტრუირებას და მობილური ლაბორატორიის შექმნას.

სის წყალდიდობის ამსახველი და სხვა ფოტოსურათები. ბრწყინვალე ფოტოგრაფი, სამეცნიერო მიმართულების შემოქმედი, მემბრანე, მხატვრული ფოტოგრაფიის ოსტატი და წარმატებული კომერსანტი დიმიტრი ერმაკოვი, ძალ-ღონეს არ იშურებდა ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ასახვისთვის. მის მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობა საშუალებას გვაძლევს, კარგად დავინახოთ დროის ცვლილება, თვალის გავადევნოთ ეპოქის მახასიათებლებს, დოკუმენტური სიზუსტით აღვიქვათ ყოფა და სამეცნიერო ღირებულების მატინე. მისი ფოტოგრაფიული სერიების ჩამონათვალიც კი გვაოცებს თავისი გეოგრაფიული მასშტაბებით: საქართველო, თურქეთი, ირანი, სომხეთი, შუა აზია, რუსეთი, აზერბაიჯანი, ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა რეგიონები.

მეცენატ აკაკი ხოშტარიას დახმარებით, შესაძლებელი გახდა ერმაკოვის კოლექციის შესყიდვა.

ერმაკოვის გარდაცვალების შემდეგ ფოტოკოლექცია 1918 წელს ერთობლივად შეიძინეს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, 1930 წელს კი ის საქართველოს მუზეუმს გადაეცა.

2000 წელს დაიწყო დიმიტრი ერმაკოვის ფოტოარქივის რესტავრაციისა და კონსერვაციის პროექტი. მასში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ჰოლანდიური ფონდი *Stichting Horizon* და ნიდერლანდების ფოტომუზეუმი როტერდამში. პროექტის მიზანი იყო საარქივო მასალის გადარჩენა და მასზე აღბეჭდილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მეცნიერებისა და ფართო საზოგადოებისთვის.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმში გამოიყო და გარემონტდა ლაბორატორია და საცავი, დამონტაჟდა შესაბამისი აპარატურა.

როტერდამის მუზეუმის მთავარი კონსერვატორი და სხვა ექსპერტები პროექტის მიმდინარეობისას წელიწადში ორჯერ ჩამოდიოდნენ საქართველოში და მათი კონსულტაციებით და რჩევების გათვალისწინებით იგეგმებოდა სამუშაოები.

პროექტში მონაწილე თანამშრომლები პერიოდულად იმყოფებოდნენ სტაჟირებაზე ნიდერლანდებში.

პროექტის ფარგლებში მოხდა ფოტომასალის აღრიცხვა, კატალოგიზაცია, გაწმენდა, ციფრულ ფორმატში გადაყვანა, რესტავრაცია და კონსერვაცია, რის შედეგადაც მივიღეთ მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ფოტოარქივი.

ერმაკოვის არქივის რესტავრაციისა და კონსერვაციის პროექტი 10 წელი გაგრძელდა და 2010 წლის აგვისტოში დასრულდა.

პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია ფოტომასალის კონსერვაციის და აღრიცხვა-კატალოგიზაციის პროფესიონალთა ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელიც მიღებული ცოდნით და გამოცდილებით აგრძელებს სამუშაოს ეროვნული მუზეუმის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფოტოკოლექციებზე. ■

1910 წელს დიმიტრი ერმაკოვი ემვთიმა თაყაიშვილის ხელმძღვანელობით სვანეთის ექსპედიციაში გაემგზავრა, სადაც მან ათასობით ფოტოსურათი გადაიღო, რომელთა შორის მრავალი არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლია. ბევრია ისეთი, რომელიც დღეს უკვე დაკარგულია და მხოლოდ დიმიტრი ერმაკოვის ფოტოგა შეგვიჩვენებს.

მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმ პერიოდის უახლესი მოვლენების ფიქსაციას: კავკასიაში მოგზაურობის დროს შექმნა ფოთიდან 1872 წლის 10 ოქტომბერს თბილისში პირველი სამგზავრო მატარებლის ჩამოსვლის, რკინიგზის მშენებლობისა და მშენებლების ამსახველი ქრონიკაც – მაგალითად, სურამის უღელტეხილზე გვირაბის მშენებლობა და მისი დამთავრების პროცესი, გახსნის ცერემონიალი, რაშიც იმ პერიოდის საზოგადო მოღვაწეები და სამღვდლოების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

მიხაილოვის „წითელი ჯვრის“ საავადმყოფოს და პუშკინის ძეგლის გახსნის ცერემონიალის გარდა დიმიტრი ერმაკოვმა გადაიღო თბილისში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონები და ექსპონატები, საქართველოს სამხედრო გზის, პირველი საფოსტო სადგურების, სოფლების, ხეობების და კავკასიის ქედების, თბილი-

ქართველი მეცნიერი და დიმიტრი ერმაკოვის მეგობარი, ექვთიმე თაყაიშვილი ფოტოგრაფის სიცოცხლეშივე, 1913 წლიდან, ცდილობდა მისი მემკვიდრეობის შეგროვებას, თუმცა ეს მეტად რთული მისია აღმოჩნდა. ქართველმა მეცენატმა პავლე თუმანიშვილმა, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ერმაკოვს საქართველოს ეკლესია-მონასტრებისა და სიძველეების ამსახველი 30 ფოტოალბომი შეუკვეთა, რომელიც მან საქართველოს საისტორიო საზოგადოებას გადასცა.

1916 წელს, ერმაკოვის გარდაცვალების შემდეგ, მისმა მემკვიდრემ განიზრახა მისი კოლექციის გაყიდვა. ამასთან დაკავშირებით ექვთიმე თაყაიშვილმა აღძრა საკითხი ერმაკოვის არქივის შექმნაზე, რათა ეს განდი საქართველოში დარჩენილიყო. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, თბილისის უნივერსიტეტის, ბაქოში მცხოვრები ქართველების და





ეროვნული მუზეუმის განახლებული ბიბლიოთეკა

პროექტი > სალომი ჩანთლაძე

2013 წელს განხორციელებულ პროექტებს შორის აღსანიშნავია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის 161 წლის ისტორიის მქონე ბიბლიოთეკაში (დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნაწილი) სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპის დასრულება. ეროვნული მუზეუმის ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული სამუზეუმო ექსპონატების – ქართული და უცხოური რარიტეტული გამოცემების დაცვა და პოპულარიზაცია მუზეუმის პოლიტიკის ნაწილია.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკის ისტორია 1852 წლიდან იწყება, როდესაც დაარსდა კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების მუზეუმი. 1868 წელს მას თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა შეუერთდა. ორმოცდათხუთმეტწლიანი თანაარსებობის შემდეგ, 1923 წელს, საქართველოს მუზეუმის „სამეცნიერო ბიბლიოთეკას“ საჯარო ბიბლიოთეკა გამოეყო, მუზეუმის ბიბლიოთეკა კი კავკასიათმცოდნეობის ძირითად ბიბლიოთეკად დარჩა.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაახლოებით 280 000 წიგნია, რომელთაგან 7396 „რარიტეტულ“ გამოცემას წარმოადგენს.

მათ შორის აღსანიშნავია 1465, 1511, 1512, 1517 წლებში გამოცემული ნაბეჭდი წიგნები და ძველი საეკლესიო ლიტერატურა, აგრეთვე, XVII საუკუნის დარგობრივი ხასიათის ლიტერატურა, მათ შორის 1671 წელს გამოცემული გეოგრაფია, XVII საუკუნეში ფრანგულ ენაზე დასტამბული მოგზაურობანი – ე.წ. „ვოიაჟები“, მინიატურული წიგნების XVII-XVIII საუკუნის კოლექციები, პეტრე დიდის მმართველობის პერიოდის ე.წ. სამპერატორო წიგნები და სხვა.

საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკა ის იშვიათი გამოცემულია, სადაც რარიტეტული პერიოდიკის („კავკაზი“, „ივერია“, „დროება“, „კვალი“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „სასოფლო ვაზეთი“ და ა. შ.) თითქმის სრული კომპლექტები დაცული. საერთო ფონდში, ქართულენოვან კოლექციებთან ერთად, წარმოდგენილია ლიტერატურა ლათინურ, ბერძნულ, ებრაულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, გერმანულ, ესპანურ, იტალიურ, შვედურ, სომხურ, ამერბაიჯანულ, სპარსულ, თურქულ და სხვა ენებზე.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ქვეყანაში არსებულმა რთულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ ბიბლიოთეკამაც იქონია თავისი უარყოფითი გავლენა. 2006-2012 წლებში

მუზეუმში მიმდინარე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ბიბლიოთეკის განახლების პროცესი დაიწყო. რარიტეტული ფონდ-საცავი და სამკითხველო დარბაზი ახალ სივრცეში, ე.წ. საბუნებისმეტყველო კორპუსის ზედა სართულზე განთავსდა.

რარიტეტული კოლექციები გამოეყო ბიბლიოთეკის საერთო ფონდს, მოხდა უნიკალური წიგნებისა და „პერიოდიკის“ ხელახალი ინვენტარიზაცია, დიაგნოსტიკა და ფონდსაცავში მათი დარგობრივი პრინციპით განლაგება შესაბამისი ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმის დაცვით. სამკითხველო დარბაზიდან, ძველი თბილისის ისტორიული უბნების ფონზე, მკითხველისთვის შეიქმნა იდეალური გარემო სამეცნიერო მუშაობისთვის.

ამჟამად ბიბლიოთეკაში მიმდინარეობს პროექტის მეორე ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს „გაცვლით“ (13 000-მდე წიგნი) და „ძირითადი“ (260 000-მდე წიგნი) ფონდების ხელახალ ინვენტარიზაციას და წიგნების განახლებულ საცავში განთავსებას.

პროექტის მიზანია, ბიბლიოთეკა ღია და ხელმისაწვდომ სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრად აქციოს დაინტერესებული მკითხველისთვის. ■

გაცოცხლებული ყოფა გიორგიწმინდის კარმიდამოში

პროექტი > ნათია ლიჟოკელი

9 ნოემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში მისულ დამთავლიერებელს კახური მრავალჟამიერი, წითელი ღვინითა და შოთით დახვდნენ. ამის მიზეზი მუზეუმში „გაცოცხლებული“ კახური სახლის პრეზენტაცია გახლდათ.

გიორგიწმინდის დარბაზული სახლი 1974 წელს კახეთიდან, სოფ. გიორგიწმინდიდან ეთნოგრაფიულ მუზეუმში

ლისხმობდა. სამუშაოების დასრულების შემდეგ „გიორგიწმინდის“ კარი კვლავ გაიღო დამთავლიერებლისთვის. თუმცა, იქ „ტრადიციული ყოფის გაცოცხლების“ იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც 2012 წელს ამავე მუზეუმში, ნორვეგიელ კოლეგებთან ერთად, UNESCO-ს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში წარმატებით მოხდა მეგრული ოდის „გაცოცხლება“. მეგრული ოდა დღესაც

პურს აცხობს. ისინი მოუთხოვენ სტუმრებს კახელი კაცის სამეურნეო კულტურის, ვაზისა და პურის საკრალური მნიშვნელობის შესახებ და მისცემენ პურის გასინჯვისა და ცხობის პროცესში მონაწილეობის მიღების საშუალებას.

გაცოცხლებული ყოფის წარმოდგენა ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ჩვენი ქვეყნის არამატერიალური კულტურის წარმოსაჩენად და ქართული ყოფის, წეს-



იქნა გადატანილი. XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში მისი მდგომარეობა გასაგები მიზეზების გამო საკმაოდ დამძიმდა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატისა და „ICOMOS საქართველოს“ ერთობლივი პროექტი, რომელიც 2008-10 წლებში უძველესი ხელსაწყოებისა და ტრადიციული მეთოდების გამოყენებით განხორციელდა, სოფელ გიორგიწმინდიდან გადმოტანილი სახლის რესტავრაციასაც გუ-

მასპინძლობს დამთავლიერებელს შუაცეცხლზე მომზადებული ღვინითა და სამეგრელოს კუთხისათვის დამახასიათებელი ტრადიციებით.

სწორედ ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოხდა „გიორგიწმინდის კარმიდამოში“ კახური ბარაქის დაბრუნება. 9 ნოემბრიდან მოყოლებული, მუზეუმში მისულ დამთავლიერებელს ყოველთვის გამოეგება ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი ოჯახის უფროსი და დიასახლისი, რომელიც იქვე მოწყობილ სათონეში შოთის

ჩვეულებების, რიტუალებისა თუ მეურნეობის შესახებ ცოდნის გასაზრცვლებლად. ინტერაქტიული პროექტი, რომელიც თავისთავად გულისხმობს ვიბიტორის ამა თუ იმ აქტივობაში ჩართვას, ეხმარება ქართველ ახალგაზრდებს საკუთარი წარსულის სახალისოდ შესწავლაში და დიდ ინტერესს აღძრავს უცხოელ დამთავლიერებელში ქართული ყოფისადმი. აღნიშნული გამოფენის მოწყობა ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, „საქპატენტის“ მხარდაჭერით მოხერხდა. ■



მიხეილ ბარათაშვილის დაბრუნება



პორტრეტი > მაია პატარიძე

ქართული ნუმისმატიკის ფუძემდებლის მიხეილ ბარათაშვილის (ბარათაშვილის) პირველი ნუმისმატიკური კოლექცია 1874 წელს შეიქმნა ბერლინის ბოდე მუზეუმის მიუნცკაბინეტმა. აღნიშნული კოლექცია ქართველი მეცნიერებისთვის დღემდე მიუწვდომელი იყო. 2012 წელს პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის ხელშეწყობით სტატიის ავტორი ბერლინის ბოდე მუზეუმში მიხეილ ბარათაშვილის (ბარათაშვილის) კოლექციის შესასწავლად იმყოფებოდა.

ქართული ნუმისმატიკური ძეგლების შესწავლა ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დაიწყო. პირველი ქართული მონეტა, სხვა აღმოსავლურ მონეტებთან ერთად, გამოიყენა რომში 1782 წელს. შემდეგ ქართული მონეტები ცნობილი ორიენტალისტისა და ქართველოლოგის, მარი ბროსეს (1802-1880 წწ.) კვლევის სფეროში მოექცა. მიუხედავად ამისა, სრულიად სამართლიანად, ქართული ნუმისმატიკური მეცნიერების ფუძემდებლად ჩვენი თანამემამულე, თავადი მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილი (1784-1856 წწ.) ითვლება.

მიხეილ ბარათაშვილი დაიბადა რუსეთში, ქალაქ სიმბირსკში, ამ მხარის მეფის-ნაცვლის, გუბერნატორის, გენერალ-პორუჩიკის პეტრე მიხეილის ძე ბარათაშვილის (ბარათაშვილის) ოჯახში. მისი პაპა, მელქისედეკ (მიხეილ) ბარათაშვილი 1724 წელს ვახტანგ VI-ის ამაღლებაში ყოფილა

და საქართველოში აღარ დაბრუნებულა. მისთვის უბოძებიათ მამულები სიმბირსკში, რომელიც „ბარათაშვიკას“ სახელით იყო ცნობილი.

თავად მიხეილ ბარათაშვილის ბიოგრაფია სამხედრო კარიერით იწყება რუსეთ-საფრანგეთის ომში. ნაპოლეონის ჯარებთან ბრძოლების დროს (1812-1814 წწ.) გამოჩენილი მამაცობისთვის იგი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა.

1820-1835 წწ. მიხეილი სიმბირსკის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლია. ცნობილია, რომ ის დეკაბრისტებს თანაუგრძნობდა, რისთვისაც მცირე ხნით პეტერბურგში დაუკავებიათ. ის სიმბირსკის მასონთა ლოჟის დამაარსებელია. ბროკჰაუსის ენციკლოპედიის თანახმად, მიხეილი ასევე ცნობილი ყოფილა „როგორც არქეოლოგი და ნუმისმატი“. მონეტების შეგროვებას იგი ახალგაზრდობიდანვე შესდგომია.

დღემდე ბოლომდე უცნობია, ჰქონდა თუ არა მას კავშირი საქართველოსთან, თუმცა სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ 1839 წელს მან მოახერხა საქართველოში სამუშაოდ გადმოსვლა. მ. ბარათაშვილი დაინიშნა „ამიერკავკასიის ოლქის საბაჟოს უფროსად“ სამოქალაქო გენერლის ჩინით. თბილისში იგი შადინოვების სახლში, სოლოლაკში ცხოვრობდა. საქართველოში ჩამოსვლისთანავე მან ნათესაური კავშირები აღადგინა ბარათაშვილების და ჭავჭავაძეების არისტოკრატულ ოჯახებთან, მათ შორის მელიტონ და ნიკოლოზ ბარათაშვილებთან. ნიშანდობლივია, რომ სწორედ მიხეილ ბარათაშვილს მიუძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“, რომელიც 1842 წლითაა დათარიღებული.





ბარათაშვილების გარდა, მიხეილი ალ. ჭავჭავაძის ოჯახშიც სანატრელი სტუმარი იყო და განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ალ. ჭავჭავაძე და მ. ბარათაშვილი ერთმანეთს ჭაბუკობიდანვე კარგად იცნობდნენ. რუსეთის არმიის ლაშქრობის დროს (1814 წ.) პარიზში გაიზიარეს მათ ერთმანეთთან შეხვედრის და შეხედრული გამარჯვების სიხარულიც. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო და 1840 წელს ისინი უკვე ჭავჭავაძეების მამულში შეხვდნენ ერთმანეთს. საქართველოსთან სამუდამო განშორების შემდეგ, 1844 წელს მიხეილ ბარათაშვილმა პეტერბურგში გამოსცა სერიოზული სამეცნიერო გამოკვლევა ქართული მონეტების შესახებ – „ნუმისმატიკის ფაქტები ანუ ძველნი ფულნი საქართველოს სამეფოსანი“ – რუსულ, ქართულ და ფრანგულ ენებზე. ამ ნაშრომის ქართული ვარიანტის მომზადებაში პროფ. დავით ჩუბინაშვილთან ერთად ნიკოლოზ ბარათაშვილსაც უნდა მიეღო გარკვეული მონაწილეობა. მ. ბარათაშვილის ამ კვლევამ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც ამ დარგში მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და ცოდნით შედგენილმა პირველმა ნაშრომმა. ამ წიგნმა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისა და ქართული საზოგადოების გამოფხიბლების საქმეში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. უკვე წიგნის სათაური უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ყველა

ეპოქაში თავისი ფული ანუ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ჰქონდა და ეს ნაშრომი რომ მას ნიკოლოზ I-ისადმი არ მიეძღვნა, შესაძლოა, ის ვერც გამოცემულიყო. მ. ბარათაშვილი წიგნის შესავალში წერს: „მე თავს ბედნიერად ვთვლი, თუ ჩემი პირველი ნაშრომი თქვენს მშვენიერ მამულში გააღვიძებს სურვილს ამგვარი მუშაობის განგრძობისას, ჩემგან დაწყებული საქმის შესავსებად და გასაღრმავებლად... მაშინ ეს ჩემი ნაშრომი დარჩება, როგორც მხოლოდ თქვენი სახსოვარი ჩემს გულში და მეც იმედი მექნება გამოსენებთ თქვენდამი პატივისცემის გრძობით აღსავსე წინაპარს“. მართლაც, მისმა მონოგრაფიამ წამყვანი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიის კვლევის საქმეში და საფუძველი ჩაუყარა ქართული მონეტების ფართომასშტაბიან კვლევას. მ. ბარათაშვილის მოღვაწეობა არაერთხელ აღნიშნა მსოფლიო საზოგადოებაში. იგი იყო პეტერბურგის სამხატვრო, ბერლინისა და კოპენჰაგენის სამეცნიერო აკადემიების წევრი, ასევე რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი. ნუმისმატიკური მოღვაწეობისა და მონეტების პირების აღების ხერხის გამოგონებისათვის იგი პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრად იქნა არჩეული. აღსანიშნავია, რომ მონეტების პირების გადაღების მის მიერ გამოგონილი ხერხი – ფოლგის მეშვეობით ანაბეჭდის აღება – დღესაც ფართოდ გამოიყენება ნუმისმატიკაში.

მიხეილ ბარათაშვილი სამშობლოსთან სამუდამო განშორების შემდეგ საბოლოოდ თავის მამულში, სიმბირსკში, ბარათაეკაში დასახლდა და იქ გარდაიცვალა 1856 წლის 31 ივლისს, 72 წლის ასაკში. სამწუხაროდ, მისი საფლავი უცნობია. ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა გადაწყვიტეს, გაეყიდათ მამისული კოლექცია და ის პირველ რიგში თბილისის კავკასიის მუზეუმს შესთავაზეს, რომლის დირექციამ ივანე ბართოლომეის სრულიად აბსურდული რეცენზიის წყალობით, სამწუხაროდ, უარი თქვა, შეეძინა ბარათაშვილის უნიკალური კოლექცია. დასკვნაში ვკითხულობთ: „განყოფილებას შეუძლებლად მიჩნია აღნიშნული კოლექცია თავის მუზეუმისათვის შეიძინოს არა მარტო ფასის სიდიდის გამო (ამ კოლექციაში 2000 მანეთს ითხოვდნენ. მ. პ.), უფრო მეტად იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს სრულიად შეუსაბამო საგანს განყოფილების მიზნებისათვის“. შემდგომ, 1874 წელს მემკვიდრეებმა კოლექცია საიმპერატორო ერმიტაჟს შესთავაზეს. გაურკვეველი მიზეზის გამო ერმიტაჟს უარი უთქვამს ამ კოლექციაზე, რომელიც უმაღლესი შეიძინა ბერლინის მუზეუმმა. 1874 წლიდან ბარათაშვილის კოლექციამ ბერლინის „ბოდე მუზეუმის“ მიუნცკაბინეტში დაიდო ბინა. დღემდე აღნიშნული კოლექცია აქ არის დაცული. ერთადერთი არსებული ინფორმაცია კოლექციის შესახებ იყო ბერლინის მიუნცკაბინეტის დირექტორის, ბერნდ კლუგეს წიგნი „Das Münzkabinett – Museum

und Wissenschaftsinstitut“, რომლის მიხედვითაც იგი 350 ქართული მონეტისგან შედგებოდა. მიუნცკაბინეტში მართლაც 350 ქართული მონეტა ამოჩნდა. ფონდში კიდევ 150 მონეტა იყო დაცული, რომელიც ასევე ბარათაშვილის კოლექციას მიეკუთვნებოდა. ამდენად, მონეტების რიცხვი 500-მდე გაიზარდა. გამოვლინდა რამდენიმე სანატრელი და იშვიათი ტიპი, ნომინალი. გერმანული მხარის თხოვნით უნდა გაკეთდეს 27 განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და იშვიათი მონეტის აღწერილობა, რომელიც მიუნცკაბინეტის ონლაინ კატალოგში შევა. გარდა ბარათაშვილის კოლექციისა, 2012 წელს პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდის, კერძოდ ბერლინის მუზეუმების გაერთიანების მიერ ბარათაშვილის კოლექციის შესწავლისათვის გამოყოფილი სტიპენდიის ფარგლებში საშუალება მოგვეცა, გვემუშავა კოლხური წარმომავლობის უნიკალური მონეტებზე. ჩატარებული სამუშაოს შედეგად საბოლოოდ მოწესრიგდა ბერლინის მიუნცკაბინეტის ქართული ფონდი. ახლა გერმანელმა კოლექტებმა ზუსტად იცან, რა კოლექციის მფლობელები არიან. დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართული ნუმისმატიკის ფუძემდებლის, მიხეილ ბარათაშვილის პირველი ქართული ნუმისმატიკური კოლექცია ორსაუკუნოვანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა ქართულ საისტორიო მეცნიერებას. კოლექციის კვლევა დღესაც გრძელდება და, შესაძლოა, ამ მონეტებმა ბევრი სიახლე შემატოს ქართულ ნუმისმატიკურ მეცნიერებას. ■





საყდრისის მალარობის საიდუმლო

კვლევა > ირინე ლაბაშიძე

ქვემო ქართლში, საყდრისში, მსოფლიოში უძველესი ოქროს წარმოების კერა აღმოჩნდა, სადაც ძვ.წ. IV ათასწლეულიდან იწყება ოქროს სამთო წესით მოპოვება. არქეოლოგიური კვლევები საყდრისში სენსაციური აღმოჩნდა. იგი შეფასდა როგორც მსოფლიოში ოქროს სამთო წარმოების უძველესი ძეგლი, რის შედეგადაც 2006 წელს საყდრისი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში იქნა შეტანილი. ძეგლზე 15-ზე მეტი გვირაბი და სამუშაო მოედანი გამოვლინდა, ის ადგილები, სადაც უშუალოდ ხდებოდა მოპოვებული ოქროს მადნების პირველადი დამუშავება.



ბოხუმის გერმანიის სამთო მუზეუმთან სამეცნიერო თანამშრომლობა 1996 წელს დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე დიდი პროექტი განხორციელდა: 2001-2003 წწ. გერმანიის ქალაქებში ბოხუმსა და ვისბადენში გამოფენა სახელწოდებით: „საქართველო – განძეულობა ოქროს საწმისის ქვეყნიდან“; 2003-2012 წწ. ფოლკსვაგენის ფონდის დაფინანსებით განხორციელდა სასწავლო სამეცნიერო პროექტები

(„საქართველოში ინტერდისციპლინარული კვლევების გააქტიურება და ახალი მეთოდების დანერგვა სამთო-არქეოლოგიასა და არქეომეტალურგიაში“ და „ოქროს საქართველოში“), 2013 წლიდან კი – გერმანიის კვლევების საზოგადოებისა (DFG) და საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრისა და სააგენტოს (ANR და CNRS) დაფინანსებით – „უძველესი მარილის, სპილენძისა და ოქროს სამთო მოპოვება კავკასიაში“.



ქ. ბოხუმსა და ქ. ვისბადენში (გერმანია) ჩატარებული გამოფენა „საქართველო — განძეულობა ოქროს საწმისის ქვეყნიდან“ (ორგანიზატორები: აკად. პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე, დოქ. ირ. ღამბაშიძე, პროფ. რ. ზლოტა, პროფ. ა. ჰაუპტმანი, დოქ. უ. იაღინი), რომლის მიზანსაც წარმოადგენდა დამთვალიერებლისთვის საქართველოს ისტორიის, კულტურის, რელიგიის, ბუნების, ლანდშაფტისა და საქართველოში გერმანული დასახლებების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება, 2001 წლის 28 ოქტომბერს გაიხსნა გერმანიისა და საქართველოს პრეზიდენტების პატრონაჟით. „არგოს“ გემში 12 ინსცენირებულ ვიტრინაში გამოფენილ ძვ.წ. III-I ათასწლეულების უძვირფასეს ექსპონატებს — ლომის ოქროს სკულპტურას წნორიდან, თიხის ურმის მოდელს ბადანის ნამოსახლარიდან, რიტონ-ყანწსა და ქურუმი ქალის სამკაულს ბორჯომის ხეობიდან, ბრინჯაოს ქალის ქანდაკებას ვანიდან და სხვ., დამთვალიერებელი საქართველოს ისტორიის ამსახველ ექსპოზიცი-აში შეჰყავდა — ძირითად საგამოფენო დარბაზში კი 756 სპილენძის, ბრინჯაოს, ანტიმონის, ტყვიის, რკინის, ოქროსა და ვერცხლის არტეფაქტის მეშვეობით ნაჩვენები იყო საქართველოში უძველესი მელითონეობის განვითარების უწყვეტი ისტორია. გამოფენა ნახევარ მილიონამდე დამთვალიერებელმა მოინახულა. გამოიკა კატალოგი სახელწოდებით: „Georgien — Schätze aus dem Land des Goldenen Vlies“ (შემდგენლები: ირ. ღამბაშიძე, ა. ჰაუპტმანი, რ. ზლოტა, ი. იაღინი, ბოხუმი 2001). გერმანიაში გამართულ საქართველოს გამოფენას 2003 წელს მოჰყვა სამთო მუზეუმთან (DBM), რურისა (RUB) და ფრანკფურტის უნივერსიტეტებთან ერთად (IMUF) ფოლკსვაგენის ფონდის (გერმანია) მიერ დაფინანსებული ორი სასწავლო-სამეცნიერო პროექტი: „საქართველოში ინტერდისციპლინარული კვლევების გააქტიურება და ახალი მეთოდების დანერგვა სამთო არქეოლოგიასა და არქეომეტალურ-გიაში“, 2007 წლიდან კი „ოქრო საქართველოში“. პროექტის მიზანი იყო ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერული კვლევებით საქართველოში უძველესი მეტალურგიის პრობლე-



მების შესწავლა: თუ როგორ ხდებოდა უძველეს დროში მადნებით მდიდარი კავკასიის მთიანეთში ნედლეულის მოპოვება და წარმოება.

პროექტი ითვალისწინებდა ინტერდისციპლინარულ (არქეოლოგიურ, გეოლოგიურ, მინერალოგიურ, ქიმიურ) კვლევებს უძველეს სამთო ძეგლებზე; საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მადნისეული საბადოებისა და უძველესი ლითონის არტეფაქტების არქეომეტალურგიულ კვლევებს; ქართველი მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და პოსტ-დოქტორების მომზადებას რურისა და ფრანკფურტის უნივერსიტეტებში. საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიაში გერმანელი სტუდენტებისათვის სასწავლო-საღეჭი კურსის მომზადებასა და სხვადასხვა workshop-ების ჩატარებას

ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე საყდრისის მალარობისა და სამუშაო მთედნებზე მოპოვებული უამრავი ძვის იარაღი, ასევე ბალიჭი-ძმძვების ტერიტორიაზე სამთოელთა საცხოვრებელი და საწარმოო ნაგებობები, ლითონის გადასამუშავებელი სახელოსნოები და სადნობი ქურები, სამთოელთა ინდივიდუალური და კოლექტიური სამარხები უძველესი დადასტურებაა იმისა, რომ სამხრეთ კავკასიაში სამთო წესით ოქროს მოპოვება და წარმოება ადგილობრივად ხდებოდა.

სამთო არქეოლოგიასა და არქეომეტალურგიაში.

პროექტების ფარგლებში ჩატარებული არქეოლოგიური და გეოლოგიური სამუშაოების შედეგად საქართველოს სამხრეთ პროვინცია ქვემო ქართლში, საყდრისში, მცირე კავკასიონის იმ მონაკვეთზე, სადაც საქართველოს ძირითადი მადნეული საბადოებია თავმოყრილი, მიკვლეულ იქნა უძველესი ოქროს წარმოების კერა, ანუ მალარობები, საიდანაც უძველეს დროში ხდებოდა მთიდან ოქროს მადნის ამოღება და გადამუშავება. არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა როგორც მიწის ზედაპირზე, ასევე მიწისქვეშა გვირაბებში, რომლებიც 25 მ. სიღრმეზე თანამედროვე შტოლნების გაყვანის დროს იქნა დაზიანებული და გადაჭრილი.

გაიწმინდა ორი ჰორიზონტალური და

ერთი შახტური გვირაბი. კულტურული ფენების სიმძლავრე 1,5-2,4 მეტრს აღწევდა. გამონამუშევრების გლუვ კედლებზე კარგად შეიმჩნეოდა ქვის უროების გამოყენების კვალი, რაც უდაოდ მის არქეოლოგიურ ხასიათზე მეტყველებდა. კულტურულ ფენებში მტკვარ-არაქსული კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის ნაწარმის აღმოჩენამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ძველი პირველად დათარიღებაში, რამაც შემდგომ ამავე ფენებში აღმოჩენილი ხის ნახშირის რადიოკარბონული თარიღის მიხედვით ეს მოსაზრება გაამყარა. მალარობებში სამუშაოების წარმოების პერიოდი განისაზღვრა ძვ.წ. 3330-2580 წწ. შორის, ანუ ოქროს მოპოვება ამ გვირაბებში 750 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. არქეოლოგიური კვლევები საყდრისში სენსაციური აღმოჩნდა და იგი შეფასდა როგორც ოქროს სამთო

წარმოების მსოფლიოში უძველესი ძეგლი, რის გამოც 2006 წელს საყდრისი შეტანილი იქნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში.

კვლევის პროცესში გაირკვა, რომ იმ დროს, როდესაც უძველესი ცივილიზაციები, ისეთები, როგორცაა, მაგალითად, ეგვიპტე, ოქროს მადანს მდინარეში რეცხვის საშუალებით მოიპოვებდნენ, მცირე კავკასიონის ქედზე მაცხოვრებელი საზოგადოება კარგად იცნობდა მთის ოქროს მოპოვების რთულ ტექნოლოგიებს, როგორცაა მადნისეულ საბადოებში თვალთუხილავი ოქროს ამოცნობა, მისი ქვის იარაღებით მონგრევა, ფუჭი ქანებისაგან გათავისუფლება, დაფხვანა, გარეცხვა, გამოდნობა და გამომდნარი ოქროსაგან სამკაულის დამზადება. ისმის კითხვა, თუ სად წავიდა საყდრისში ამოღებული ოქრო? ვინ იყვნენ

და სად ცხოვრობდნენ ეს ადამიანები? დაიწყო სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები, რომელთა მიზანს ძვ.წ. IV-III ათასწ. სამთოელთა დასახლების მოძიება წარმოადგენდა, ანუ იმ ნამოსახლარისა, სადაც საყდრისში მომუშავე საზოგადოება ცხოვრობდა.

სოფ. ბალიჭის მიმდებარე ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა 62 ჰა ფართობზე გადაჭიმული ნამოსახლარი და სამარხები. დღევანდელი მონაცემების მიხედვით, იგი ყველაზე დიდია სამხრეთ კავკასიაში არსებულ მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდის ნამოსახლარებს შორის. მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით ძველი შეფასება, სადაც ძვ.წ. IV-III ათასწლეულთა მიჯნაზე ხდებოდა საყდრისიდან მოზიდული ოქროს მადნის მეორადი გადამუშავება და გამოდნობა. სამელითონეო სახელოსნოში ქურის გარშემო ერთად იყო თავმოყრილი ქვის საწარმოო იარაღები: მცირე ზომის უროები, სანაყები, საფხვანელები, სასრესი დაფები, დაფხვნილი მადანი, თვით ქურაში კი დაწიდებული თიხის ტიგელი (თიხის ტურტელი მადნის გამოსადნობად).

ვინაიდან პროექტები ინტერდისციპლინარული იყო და მოითხოვდა ლითონის არქეოლოგიური არტეფაქტების წარმომავლობის დადგენას, არქეოლოგიური კვლევების პარალელურად დაიწყო ანალიტიკური კვლევებისათვის საქართველოში არსებული მადნეული საბადოებიდან და ოქროს მატარებელი მდინარეებიდან ქვიშრობული ოქროს მოპოვება, რათა ქიმიური და ტყვიის იზოტოპური ანალიზების საფუძველზე მომხდარიყო საქართველოს ფარგლებს გარეთ მოპოვებული არქეოლოგიური ძვირფასი და ფერადი ლითონის უძველეს არტეფაქტებთან შეჯერება. სინჯები ბოხუმის სამთო მუზეუმის არქეომეტალურგისა და ფრანკფურტის უნივერსიტეტის მინერალოგიის ინსტიტუტების ლაბორატორიებში იქნა გაგზავნილი, სადაც შესრულდა მათი ანალიტიკური კვლევები ქართველი და გერმანელი დოქტორანტებისა და მაგისტრანტების მონაწილეობით.



პასუხი კითხვამ, თუ სად წავიდა საყდრისის ოქრო, კვლევების დასარულს გაიცემა, როდესაც მოხდება საქართველოში აღმოჩენილი ოქროს არტეფაქტებისა და მადნების ტყვიის იზოტოპური ანალიზების შედეგების შეჯერება. ასევე დამთავრდება ვარნის (ბულგარეთი), მესოპოტამიური, ანატოლიური და კავკასიური (ჩრდილო კავკასია, აზერბაიჯანი, სომხეთი) ოქროს არტეფაქტების არქეომეტალურგიული კვლევები. ფაქტი ერთია, ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე საყდრისის მალარობისა და სამუშაო მთედნებზე მოპოვებული უამრავი ქვის იარაღი, ასევე ბალიჭი-ძმძვების ტერიტორიაზე სამთოელთა საცხოვრებელი და საწარმოო ნაგებობები, ლითონის გადასამუშავებელი სახელოსნოები და სადნობი ქურები, სამთოელთა ინდივიდუალური და კოლექტიური სამარხები უძველესი დადასტურებაა იმისა, რომ სამხრეთ კავკასიაში სამთო წესით ოქროს მოპოვება და წარმოება ადგილობრივად ხდებოდა.

2009 წელს დაიდო მრავალწლიანი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, ბოხუმის გერმანიის სამთო მუზეუმს, ბოხუმის რურის უნივერსიტეტსა და გერმანიის სამთო ტექნოლოგიების საზოგადოებას შორის; 2013 წლიდან კი საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ბოხუმის სამთო მუზეუმის (რურის უნივერსიტეტი) ურთიერთობებში ახალი ეტაპი დაიწყო. გერმანიის კვლევების საზოგადოებისა (DFG) და საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრისა და სააგენტოს (ANR და CNRS) მიერ დაფინანსდა მორიგი პროექტი „უძველესი მარილის, სპილენძისა და ოქროს სამთო მოპოვება კავკასიაში“, რომელშიც მონაწილეობს აგრეთვე პროექტი „Archéorient“ (საფრანგეთი), აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ინსტიტუტი (საფრანგეთი), საქართველოს ეროვნული მუზეუმი და აზერბაიჯანის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნახჩევანის ფილიალი. პროექტი ინტერდისციპლინარულია და მასში სხვადასხვა დაწესებულების 50-მდე მეცნიერი იღებს მონაწილეობას. ■

საქართველოში „მონამული“

მუზეუმის მემობარი > მიხეილ შარატიანი

ამ პატარა ქვეყნის ლანდშაფტი საოცრად მრავალფეროვანია, ისტორია არაჩვეულებრივად მდიდარი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები უნიკალური. მწამს, რომ საქართველოს კულტურა უმნიშვნელოვანესი კაპიტალია – ქეროლ ნევესი



ქეროლ ნევესი ამერიკელი ექსპერტია, რომელიც 2005 წლიდან სხვადასხვა ფორმით აქტიურად ეხმარება საქართველოს ეროვნულ მუზეუმს

მორიხები კოორდინატორის

დოქტორი ქეროლ ნევესი საერთაშორისო ურთიერთობებს და ეკონომიკას სწავლობდა. მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ, სასწავლებლად ეგვიპტეში გაემგზავრა, სადაც მუშაობდა თემამე, რომელიც ადგილობრივი პოლიტიკური პარტიის – „არაბული სოციალისტური კავშირის“, საქმიანობას ეხებოდა. ამერიკაში დაბრუნებისთანავე დაიწყო დოქტურანტურაში სწავლა და სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა პოლიტიკის და ანალიზის დარგში. დაქორწინდა ბრაზილიელზე და საცხოვრებლად ბრაზილიაში გადავიდა. იქ უნივერსიტეტში ასწავლიდა. 1970-იან წლებში ამერიკაში დაბრუნდა. მისი პირველი სამსახური იყო მასაჩუსეტის ტექნიკურ ინსტიტუტში, შემდეგ ორგანიზაციაში OPIC Oil Prizes, სადაც მუშაობდა ალტერნატიული ენერჯის გამოყენების გზებზე ცენტრალურ ამერიკაში – კოსტა რიკაში, პანამაში, ჰონდურასში, სალვადორსა და ნიკარაგუაში.

1985 წელს მიიწვიეს საჯარო ადმინისტრაციის ეროვნულ აკადემიაში კვლევის

ჩასატარებლად, რომელიც NASA-სთან დაკავშირებულ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას ეხებოდა. ქალბატონი ქეროლი იხსენებს: „იმჟამად NASA-ს ადმინისტრაცია განიხილავდა კოსმოსური ხომალდის „შატლი“ პრევატიზაციის საკითხს. მთავრობას სურდა მისი დაფინანსებით დამოუკიდებელი კორპორაცია დაეფუძნებინა. ჩვენ უნდა შეგვესწავლა საკითხის მიზანშეწონილობა. ანალიტიკურმა კვლევამ იმ დასკვნამდე მივიყვანა, რომ „შატლის“ პრევატიზაცია შეუძლებელი იყო. ეს მიმდინარე სამეცნიერო სამუშაოებთან. ერთწლიანი კვლევა სამი დღის დასრულებული გვექონდა, როდესაც ხომალდ „ჩელინჯერის“ კატასტროფა მოხდა. NASA-მ კვლავ მიმართა თხოვნით ეროვნულ აკადემიას, რომ გენერალ ფილიპსის საბჭოსთან გვემუშავა. გენერალი სამუელ ფილიპსი ლეგენდარული პიროვნება იყო, რომელიც ხელმძღვანელობდა პროგრამას „აპოლო“ – ადამიანის მთვარეზე გაფრენას. ორი

წლის განმავლობაში ჩვენ დეტალურად ვიკვლევდით ორგანიზაცია NASA-ს. ეს იყო განუმეორებელი შემთხვევა ჩემ პროფესიულ ცხოვრებაში, რომლიდანაც ბევრი რამ ვისწავლე. ამ საბჭოში 12 განსაკუთრებული ადამიანი იყო. საბჭო NASA-ს საქმიანობის ყველა ასპექტს სწავლობდა. მე უმეტესად ორგანიზაციულ სტრუქტურასთან დაკავშირებულ თემებს, ფინანსურ საკითხებს, საზოგადოებრივ პროგრამებს და მიკრო და მაკრო მენეჯმენტს ვიკვლევდი.“ ქალბატონმა ქეროლმა 15 წელი იმუშავა საჯარო ადმინისტრაციის აკადემიაში.

სმიტსონის ინსტიტუტი

2000 წელს ქეროლ ნევესი სმიტსონის ინსტიტუტში გადადის, სადაც პოლიტიკისა და ანალიზის სამსახურის ხელმძღვანელი ხდება.

სმიტსონის ინსტიტუტი მსოფლიოს უმსხვილესი სამუზეუმო კომპლექსია. მის 19 მუზეუმს წელიწადში დაახლოებით 30 მილიონი დამთვალიერებელი ჰყავს, ხოლო ვებგვერდს 200 მილიონი მომხმარებელი. ეს არის, პირველ რიგ-

ში, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუცია. მას ეკუთვნის 9 სამეცნიერო ცენტრი, რომელთა შორისაა: ჰარვარდის ასტროფიზიკის ობსერვატორია და ტროპიკული კვლევითი ინსტიტუტი პანამაში. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვან კვლევებს აწარმოებს ბიომრავალფეროვნებისა და კლიმატის ცვლილების შესწავლისთვის. სმიტსონის ინსტიტუტის მეცნიერები მსოფლიოს ყველა კუთხეში მუშაობენ. ამ სამუზეუმო სისტემაში შედის ბუნების ისტორიის მუზეუმი, რამდენიმე ხელოვნების მუზეუმი, პორტრეტის გალერეა, ამერიკელ ინდიელთა, აფრიკის ხელოვნების, ისტორიისა და სხვა მუზეუმები. 19 მუზეუმიდან 17 ვაშინგტონშია; მათი ძირითადი ნაწილი კონგრესის წინ მდებარე ეროვნული პარკის გასწვრივაა განლაგებული. 2 მუზეუმი ნიუ-იორკშია.

მუზეუმის დაარსება ბრიტანელი არისტოკრატის, მეცნიერის ჯეიმს სმიტსონის სახელს უკავშირდება. იგი გეოლოგი იყო. ამერიკაში არც იყო ნამყოფი, თუმცა მოხიბლული იყო მმართველობის ახალი, დემოკრატიული სისტემით. მან თავისი მემკვიდრეობა ამერიკას დაუტოვა ისეთი ინსტიტუციის შესაქმნელად, რომელიც ცოდნის გავრცელებას შეუწყობდა ხელს. ანდერძის თანახმად და კონგრესის გადაწყვეტილებით 1846 წელს შეიქმნა სმიტსონის ინსტიტუტი, რომელიც შემეცნებასა და ცოდნის გავრცელებას ემსახურება. პირველი მუზეუმი, რომელიც ვაშინგტონის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გაიხსნა, ბუნების ისტორიის მუზეუმი იყო. ის დღემდე სმიტსონის ინსტიტუტის ყველაზე დიდი მუზეუმია. ამჟამად მშენებლობის პროცესშია მეცხრამეტე – აფრიკელ ამერიკელთა კულტურისა და ისტორიის მუზეუმი. უბნის განაშენიანების გეგმით ეს ამ ტერიტორიაზე ბოლო სამუზეუმო შენობა იქნება.

ქალბატონი ქეროლი განაგრძობს თხრობას მისი განყოფილების შესახებ: „სმიტსონის პოლიტიკისა და ანალიზის განყოფილება დამოუკიდებელი ერთეულია, რომელიც ანალიტიკურ კვლევას აწარმოებს. ის შეიქმნა სმიტსონის სამუზეუმო გაერთიანებაში გადაწყვეტილების მიღების პროცესის გასამარტივებლად. ჩვენმა სამსახურმა მოამზადა

სმიტსონის ინსტიტუტის სტრატეგიული გეგმა. ასევე, დავებმარეთ გაერთიანების წევრ ცალკეულ მუზეუმებს მათი სტრატეგიული გეგმების შექმნაში. განყოფილება ხშირად ატარებს დამთვალეიერებელთა გამოკითხვას. ჩემი აზრით, განსაკუთრებით საინტერესოა დროებითი გამოფენების შესწავლა. ხშირად ვატარებთ სხვადასხვა ანალიტიკურ კვლევებს, რომელთაც უმეტესად სმიტსონის ხელმძღვანელი, ხანდახან კი ორგანიზაციის გამგეობა გვიკვთავს. გვექონია პერიოდი, როდესაც პარალელურად 80 პროექტს ვახორციელებდით. ამ მოცულობის საქმიანობა დიდ დროს, ცოდნასა და ძალისხმევას მოითხოვს. საკითხის შესასწავლად დიდი ინფორმაცია უნდა შეგროვდეს. განსაკუთრებულ სიღრმეს საჭიროებს სხვადასხვა ხასიათის ხარისხობრივი კვლევა.

თანამშრომლები მაღალი კვალიფიკაციისა და სხვადასხვა დარგის სპეცი-

განვლილმა წლებმა მასწავლა: იმისთვის, რომ სასურველ შედეგს მიაღწიო, აუცილებელია გუნდური მუშაობა. კარგი ჯგუფის შემქმნა სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ჰარმონიულ თანამშრომლობას ნიშნავს.

ალისტები არიან: გვყავს მეცნიერებათა დოქტორი სტატისტიკის დარგში, ანალიტიკოსი, ეკონომისტი, ინსტიტუციური განვითარებისა და მენეჯმენტის, სტრატეგიული დაგეგმვის ექსპერტები, სოციოლოგი და ორგანიზაციული ანთროპოლოგიის ექსპერტი. ერთი მათგანი დიდი მუზეუმის ხელმძღვანელი იყო.

ამ სამსახურის მთავარი საქმიანობაა გადაწყვეტილების მიღების პროცესის გუმჯობესება, ინსტიტუტის ეფექტურობის გაზრდა და უფრო მოქნილი სტრუქტურის შექმნა. ვფიქრობ, 12 წლის განმავლობაში შევძელით, მძლავრი ერთეული შეგვექმნა. დღეს ამ ჯგუფს დიდი გამოცდილება და სოლიდური შესაძლობლელები აქვს. პიველი ოთხი წელი ვიკრებდით ძალებს, საბოლოო ჩამოყალიბებამდე რვა წელი დაგვჭირდა“.

კითხვაზე, უნდა იყოს თუ არა თანამედროვე მუზეუმი ინტერდისციპლინარუ-

ლი, ქალბატონი ქეროლი გვპასუხობს: „მწამს, რომ ინტერდისციპლინარულობა აუცილებელია ყველა სფეროში. ისეთი დიდი მხატვრები, როგორებიც არიან ლეონარდო და მიქელანჯელო, ხელოვნების გარდა ღრმად ერკვეოდნენ სხვა დარგებშიც, მათ შორის ბუნებისმეტყველებაში. შეიძლება ითქვას, რომ ისინი მუშაობისას ტვინის ორივე ნახევარსფეროს იყენებდნენ. პოლიტიკისა და ანალიზის დარგის მუშაობის მეთოდოლოგიაც ინტერდისციპლინარულობაზეა დაფუძნებული. ხელოვნების სფეროს გარდა სტივ ჯობსის მაგალითს გავიხსენებ. მას ესთეტიკის წარმოდგენელი გრძობდა ჰქონდა, კარგად იცნობდა ჰუმანიტარულ სფეროს, უყვარდა წიგნების კითხვა და შესანიშნავი ტექნიკური ამროვნება ჰქონდა.

ვფიქრობ, სმიტსონის ინსტიტუტი საოცარი ადგილია: ის ერთმანეთს აკავშირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერე-

ბას, ტექნოლოგიას, საინჟინრო საქმეს, მათემატიკას, ასევე ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ დარგებს. ჩვენი განყოფილებაც კარგი მაგალითია: როდესაც დიდ გადაწყვეტილებებს აფასებ, მოვლენას სხვადასხვა კუთხიდან უნდა შეხედო; როგორც იტყვიან, ასი თვალი გჭირდება იმისთვის, რომ კარგი კვლევა ჩაატარო, მოპოვებული ინფორმაცია გააანალიზო და სწორი დასკვნა გამოიტანო. განვლილმა წლებმა მასწავლა: იმისთვის, რომ სასურველ შედეგს მიაღწიო, აუცილებელია გუნდური მუშაობა. კარგი ჯგუფის შექმნა სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ჰარმონიულ თანამშრომლობას ნიშნავს. თუ დავაკვირდებით მსოფლიოს წარმატებულ ორგანიზაციებს, იქნება ეს NASA თუ სხვა, მათი საქმიანობის დაგეგმვა, გადაწყვეტილებების მიღება და შემდეგ აღსრულება გუნდურ მუშაობას ეფუძნება“.



სმითსონის ინსტიტუტის სისტემაში შემავალი მუზეუმები, კაპიტოლიუმი, ეროვნული პარკი, ვაშინგტონი

კავშირი საქართველოსთან

„ჩემი პირველი ჩამოსვლა საქართველოში არ უკავშირდება ეროვნულ მუზეუმს. იმუამად არაფერი ვიცოდი ადგილობრივი მუზეუმების შესახებ. პირველად ჩამოვედი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) შექმნის პროცესის ხელშესაწყობად. 5 წელი ვიმუშავე GIPA-ში. საქართველოში ბევრი მეგობარი შევიძინე და პერიოდულად ჩამოვედიოდი ხოლმე. ახლაც ვკითხულობ პოლიტიკის ანალიზის მოკლე კურსს თბილისში. 2005 წელს დავუკავშირდი ეროვნულ მუზეუმს. ბევრი კუთხით ვითანამშრომლეთ. აქაურ მუზეუმებზე შეყვარებული ვარ და ვიცი, მათ დიდი შესაძლებლობები აქვთ, რომ საერთაშორისო არენაზე უკეთ წარმოჩინდნენ. ვუყურებ საქართველოს და ვფიქრობ, რომ კულტურა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რამ, რის ექსპორტსაც თქვენი ქვეყანა ახ-

დენს. ბევრად მეტის გაკეთებაა შესაძლებელი. იგივეს ვიტყვდი იმპორტზეც. ტურიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივ ეკონომიკაში. ამ პატარა ქვეყნის ლანდშაფტი საოცრად მრავალფეროვანია, ისტორია არაჩვეულებრივად მდიდარი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები უნიკალური. მწამს, რომ საქართველოს კულტურა უმნიშვნელოვანესი კაპიტალია, რომელიც სრულად არ არის გამოყენებული. ეს ეხება არა მარტო მუზეუმებს, არამედ მუსიკას, თეატრს, ბალეტსა და სხვ. საქართველოს ხომ ბევრი ნიჭიერი ადამიანი ჰყავს კულტურის სფეროში. სამწუხაროდ არ ვიცი ქართული ენა და არ მაქვს ბედნიერება, გავეცნო ქართული ლიტერატურას, პოეზიას. რაც თარგმნილია ინგლისურად, წაკითხული მაქვს და ძალიან მოხიბლული ვარ.“

2007 წლის დეკემბრიდან 2008 წლის მარტამდე სმითსონის ინსტიტუტის საკ-

ლერის გალერეამ უმასპინძლა საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოფენას „ღვინო, კულტი და მსხვერპლშეწირვა: ანტიკური ვანის ოქრომრავალი სამარხები“. ამ საქმეში ამერიკული მხრიდან აქტიურად იყო ჩართული ქალბატონი ქე-როლი. თვითონ გამოფენის მიმდინარეობისას მისმა განყოფილებამ სპეციალური კვლევაც კი ჩაატარა დამთვალირებელთა გამოკითხვის სახით. ჩვენ კითხვაზე, თუ რა მოუტანა ამ გამოფენამ საკლერის დამთვალირებელს და საქართველოს, იგი გვასუხობს: „ვფიქრობ, ამერიკელ დამთვალირებელთა უმეტესობა შოკში იყო, როდესაც გამოფენა იხილა. ისინი აღაფრთოვანა ამ ნივთების მშვენიერებამ და დამზადების მაღალმა ოსტატობამ, მაგრამ ასევე თქვენი ქვეყნის დიდმა ისტორიამ, იმ ეპოქამ, რომელიც ექსპონირებულია ამ და მასთან დაკავშირებულმა ღონისძიებებმა გააცნო მათ.“

ქართველებს გამოფენამ დიდი გამოცდილება მისცა. გამოფენამდე ქართველ სპეციალისტებთან ერთად ვმუშაობდი ვაშინგტონში. ოთხი რესტავრატორ-კონსერვატორი რამდენიმეთვიან სტაჟირებას გადიოდა სმითსონის ინსტიტუტში. მათ ბევრი რამ ნახეს და ისწავლეს, გაწმინდეს ძვირფასი ლითონების, ქვისა და მინის ექსპონატები. ისინი ინტენსიურად მუშაობდნენ დიდი გამოცდილების მქონე ამერიკელ კოლეგებთან ერთად, რომელთა შორის საყოველთაოდ ცნობილი სპეციალისტები იყვნენ. ერთობლივი ძალისხმევით ნივთების მდგომარეობა არსებითად გაუმჯობესდა. ქართველები მონაწილეობდნენ გამოფენის ინსტალაციაში, დიზაინის შემუშავებაში, გრაფიკული ნაწილის მომზადებაში და სხვ.

ამ პროექტმა მართლაც ბევრი რამ ასწავლა ქართულ მხარეს: საგრძნობლად დაიხვეწა კოლექციების დოკუმენტაციის მომზადების ხარისხი. ახალ დონეზე გადავიდა საერთაშორისო ურთიერთობი. ვაშინგტონის შემდეგ გამოფენამ იმოგზაურა ნიუ-იორკში, ჰიუსტონში, ლოს ანჯელესში, პოლ გეტის მუზეუმში, ბევრ ევროპულ ქვეყანაში“. ქალბატონი ქეროლი ამბობს: „საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებმა სწრაფად აითვისეს ყველა ნიუანსი, რომლიც საერთაშორისო სამუზეუმო საქმიანობისთვისაა აუცილებელი. ისინი თავისუფლად უძღვებოდნენ თა-

ნამშრომლობის ხელშეკრულებების მომზადების პროცესს, ნივთების დროებით სარგებლობაში გადაცემის პროცედურებს, ექსპონატების პროფესიულად შეფუთვისა და ტრანსპორტირებას. მათ ისწავლეს დიდი მასშტაბის საერთაშორისო გამოფენის მოწყობის ყველა ასპექტი და ის, თუ როგორ შეიძლება წარმოადგინო შენი ნივთები შესაბამისი ღირსებით საერთაშორისო სცენაზე. მართლაც რომ დიდი გამოცდილება იყო ორივე მხარისათვის.“

ჩვენმა განყოფილებამ ვიზიტორთა გამოკითხვა ჩაატარა. გამოფენას დამთვალირებელმა ძალიან მაღალი შეფასება მისცა. შევისწავლეთ გამოფენა ესთეტიკური და ცოდნის შექენის კუთხით; აძლედა თუ არა ის საშუალებას მნახველს თავი ეგრძნო განსხვავებულ გარემოში და ემოგზაურა დროში. გამოფენამ ყველა პარამეტრით ძალიან მაღალი ქულები მიიღო“.

რა არის მუზეუმების ერთ სისტემაში გაერთიანების უპირატესობა?

„ვფიქრობ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა არის ის, რომ მუზეუმებს შორის, მათ ხელმძღვანელებს შორის არის სინერგია, რომელსაც ინტერდისციპლინარული მუშაობისაკენ მივყავართ. ბუნების ისტორიის მუზეუმის წარმომადგენელი შეიძლება მუშაობდეს ხელოვნების მუზეუმთან. ხშირად ისინი არაჩვეულებრივ ექსპონირებენ აწყობენ ერთობლივად. ახლახან გაიხსნა შესანიშნავი გამოფენა თემაზე „ასტრონომია ეგვიპტეში“. ექსპონირებულ წარმოდგენილი იყო ხელოვნებაც და ასტროლოგიაც. ეს იყო აფრიკული ხელოვნების მუზეუმისა და ჰარვარდის ასტროფიზიკის ობსერვატორიის ერთობლივი გამოფენა, რომელიც აკავშირებდა ხელოვნებასა და მეცნიერებას. ასე რომ, უპირატესობა შეიძლება იყოს ის, რომ ჩნდება საშუალება, მომზადდეს ერთობლივი გამოფენები, კატალოგები, სტატიები და ა.შ.“

მნიშვნელოვანი უპირატესობაა ეფექტურ, ცენტრალიზირებულ სტრუქტურათა არსებობა. საერთო ჯამში, ორგანიზაციის ამგვარი ფორმა ახდენს რესურსების საგრძნობ ოპტიმიზაციას. ამასთანავე, ყალიბდება ეფექტური და მძლავრი დანაყოფები, რომლებიც მთელ ინსტიტუციას ემსახურება, როგორებიცაა, მაგალითად,

ცენტრალური ფინანსური სამსახური, უსაფრთხოებისა და დაცვის სამსახური და ა.შ. მაგალითად, თუ რომელიმე მუზეუმის დაცვის სამსახურის თანამშრომელი ვერ მოდის, მას სხვა მუზეუმის თანამშრომელი ცვლის, რომელსაც არ სჭირდება გადამზადება. ის მუშაობს ზეგანაკვეთურად შესაბამისი დამატებითი ანაზღაურების სანაცვლოდ. ასევე გამარტივებულია ერთი მუზეუმიდან მეორეში ექსპონატების დროებით სარგებლობაში გადაცემა. ერთიან სისტემაში ბევრად მარტივად ხდება ნივთების თხოვება. ცენტრალიზებული სისტემას ბევრი უპირატესობა აქვს, მაგრამ ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსურია. საგრძნობლად იზოგება დანახარჯი და იზრდება ეფექტურობა“.

კითხვაზე, შეუძლია თუ არა მუზეუმუმებს და კულტურულ მემკვიდრეობას მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ქვეყნის სახელმწიფოებრივ წინსვლაში, ქალბატონი ქეროლი გვასუხობს: „ვფიქრობ, მუზეუ-

ერთხლიანი კვლევა სამი დღის დასრულებული გვქონდა, როდესაც ხომალდ „ჩელინჯერის“ კაბასტროფა მოხდა. NASA-მ კვლავ მიმართა თხოვნით ეროვნულ აკადემიას, რომ გენერალ ფილიპსის საბჭოსთან გვიმუშავა. გენერალი საბუელ ფილიპსი ლეგენდარული პიროვნება იყო, რომელიც ხელმძღვანელობდა პროგრამას „აკოლო“ – ადამიანის მთვარეზე გაფრენას.

მები ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის წინსვლაში, მაგრამ მათ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ. კარგი იქნება, თუ უფრო ინტენსიური თანამშრომლობა იქნება განათლების სამინისტროსთან და სკოლებთან. ვხედავ, რომ სასკოლო კლასები დადიან მუზეუმებში. მუზეუმის საგანმანათლებლო განყოფილების თანამშრომლებმა თვითონაც უნდა იარონ სკოლებში, რათა გააღვიძონ ინტერესი მასწავლებლებსა და მოზარდებში. ამ „ქეჩაზე“ „ორმხრივი მოძრაობა“ უნდა იყოს – სკოლა მუზეუმში და მუზეუმი სკოლაში. სმითსონის ინსტიტუტს ძალიან ბევრი თანამშრომელი ჰყავს, რომელიც საგანმანათლებლო კუთხით მუშაობს. ისინი არა მარტო ვაშინგტონისა და მისი შემოგარენის სკოლებთან მუშაობენ, არამედ ცდილობენ მთელი შეერთებული


შტატები მოიცვან. ამუამად ვმუშაობთ ინტერნეტის საშუალებით სწავლებაზე. ჩვენ გვცხმარებიან კერძო დაწესებულებები, მათ შორის გამომცემლობები და კომპანია Microsoft-ი.

ეკონომიკური განვითარება მიბმულია კულტურის ტურიზმთან. ვფიქრობ, კერძო სექტორთან თანამშრომლობა უნდა გაღრმავდეს, მომზადდეს ერთობლივი სტრატეგია, რომელიც დააკავშირებს ტურიზმსა და ეკონომიკას. მაგალითად, **ცისა და კოსმოსის ეროვნულ მუზეუმს** კავშირი აქვს კომპანია „ბოინგთან“ და საჰაერო ტრანსპორტის მწარმოებელ სხვა კომპანიებთან, ასევე ელექტრონული ინდუსტრიის წარმომადგენლებთან. ამ თანამშრომლობით მდიდრდება კოლექცია, კომპანიები მხარს უჭერენ ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნას. ხელოვნების მუზეუმს გრძელვადიანი თანამშრომლობა აკავშირებს ნავთობის მწარმოებელ ფირმებთან და სხვა დიდ კორპორაციებთან.

ვიცი, რომ ეროვნული მუზეუმი BP-სთან თანამშრომლობს, რომელიც ბევრჯერ დაგვხმარათ. იმედი მაქვს, სხვა კომპანიებიც ინტენსიურად დაუჭერენ მხარს საქართველოს მუზეუმებს, ოპერასა და თეატრებს, ორკესტრებს... კულტურა ხომ ამ პატარა ქვეყნის დიდი უპირატესობაა მსოფლიო კონკურენტულ გარემოში.

დაბოლოს

ბევრს არაფერს დავამატებ. ცოტა ხნის წინ გავედი პენსიაზე და ვგეგმავ, უფრო მეტი დრო გავატარო თბილისში. სიამოვნებით დავცხმარები ეროვნულ მუზეუმს, ასევე სხვა ორგანიზაციებს, თუ მათგან ამისი სურვილი იქნება. ძალიან მინდა სვანეთის მუზეუმის ნახვა. ვიცი, რომ ის მაღალ დონეზე გაკეთდა და დიდი წარმატება აქვს. ■



ავტოპორტრეტი სარკესთან

XX საუკუნის კლასიკოსი

ხელოვნება > ქეთევან კინწურაშვილი

18 მაისს, მუზეუმის საერთაშორისო დღეს, დ. შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ გალერეაში გაიხსნა დავით კაკაბაძის (1889-1952) ნამუშევრების რეტროსპექტული გამოფენა

ღავით კაკაბაძემ ისე ასახა იმერეთის გორაკებიდან დანახული სამყარო, თითქოს გადაუფრინაო მშობლიურ მხარეს. როგორც კუბიზმის და აბსტრაქციის ეპოქის მხატვარს, მას დროისა და სივრცის გამახვილებული შეგრძნება ჰქონდა. ის გლობალურად აღიქვამდა ხილულ სინამდვილეს და შესატყვის მხატვრულ სახეებს ქმნიდა. ფერადოვან მონაკვეთებად დანაწევრებული მიწის ზედაპირი მის სურათებში ხალიჩასავით ეფინება ფერდობებს.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1910-15 წლებში, დავით კაკაბაძე ერთდროულად სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე და დმიტრიევ-კავკაზსკის კერძო სამხატვრო სტუდიაში. 1918 წელს ის დაბრუნდა საქართველოში, რომელიც იმ დროს დამოუკიდებელ რესპუბლიკას წარმოადგენდა. მისი ნამუშევრები „დიდების ტაძარში“ (დღევანდელი ეროვნული გალერეა), ქართველ მხატვართა გამოფენაზე გამოიფინა. რამდენიმე ახალგაზრდა მხატვართან ერთად საქართველოს მთავრობამ კაკაბაძე პარიზს მიაგვლინა, სადაც მან 1919-27 წლები გაატარა. მსოფლიო ხელოვნების ცენტრში კაკაბაძის ხედვამ მრავალფეროვანი გამოვლენა პოვა. მან კუბიზმით დაიწყო და აბსტრაქციამდე მივიდა, დადაიზმის ელემენტებიც ორგანულად გაჩნდა მის ნამუშევრებში და სიურეალისტური აბსტრაქციისა.

დროის მიერ მოტანილი ყველა ტექნოლოგიური სიახლე აღფრთოვანებას იწვევდა მასში. ჯერ კიდევ გიმნაზიის მოწაფე იყო, როდესაც შეგროვილი ფულით ფოტოაპარატი შეიძინა, რომელიც მას შემდეგ მუდამ მომარჯვებული ჰქონდა. ასევე აღტაცებას იწვევდა მასში კინო. 1922-23 წლებში სტერეო კინოსაპროექციო აპარატი შექმნა, რომელიც მესამე განზომილების ეფექტის უსათვალოდ შექმნის საშუალებას იძლეოდა. გამოგონებისთვის მან პატენტები მიიღო დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნიდან, დიდი ბრიტანეთიდან და აშშ-დან. შემდგომ, მინის და ლითონის დეტალები,

რომლებიც აპარატზე მუშაობის დროს დაგროვდა მის ატელიეში, კოლაჟების შესაქმნელად გამოიყენა. ზოგ კოლაჟს მხატვარმა უკანა მხრიდან ნათურა მიუერთა. სარკის ნაწილები, ლინზები, მოციმციმე ელემენტები მის კომპოზიციებში ახლებურად მიანიშნებდა სიღრმეს და დინამიზმის ახალ განცდას ბადებდა. ამ ხერხების შესაქმნელად ის ხანა შთააგონებდა, რომელსაც თავად „მაშინიზმის და კინემატოგრაფის ეპოქა“ უწოდა.

1921-27 წლებში კაკაბაძემ ბიომორფული აბსტრაქციების სერიები შექმნა. მის ნამუშევრებში ხშირად ამოიკითხავთ ემბრიონის მონახაზს ან მცენარეულ წარმონაქმნს. ორგანული აბსტრაქციის ნიმუშია მისი სკულპტურული ობიექტიც (იელის უნივერსიტეტის სამხატვრო გალერეის კოლექცია, აშშ).

სტუდენტურ ექსერსისებს თუ არ ჩავთვლით, კაკაბაძე არასოდეს ხატავდა ქალის ნატურას. თუმცა, ეს თემა არატრადიციულად მაინც ვლინდება მხატვრის შემოქმედებაში. მისი ნატურაა „ტერა“ – მიწა (იმერეთის პეიზაჟებში ის იშვიათად უთმობს ადგილს ცას ან წყალს); დედის სახით განაზოგადებს სამშობლოს იდეას („იმერეთი – დედაჩემი“); ხოლო მისი ორგანული აბსტრაქციები ქალის თემის ქვეცნობიერ ჩანაცვლებად შეიძლება მივიჩნიოთ.

პარიზიდან წამოსვლის წინ შექმნილ ფერწერულ აბსტრაქციებში მხატვარი თითქოს მიკროსკოპში დანახულ უჯრედს ან ტელეცკოპით ხილულ კოსმოსურ პეიზაჟს გამოსახავს. ნამუშევრები გვარწმუნებს, რომ მიკრო და მაკრო სამყაროები ბუნებაში ერთსა და იმავე ორგანიზაციულ წესრიგზეა დამყარებული. ეს წესრიგი კაკაბაძის მთელი შემოქმედების ქვაკუთხედი; ბუნება, სიცოცხლის საწყისი მისი შთაგონების მუდმივი წყაროა.

პარიზში როცა მიდიოდა, კაკაბაძემ მიზნად დაისახა, შეესწავლა ახალი მიმდინარეობები ხელოვნებაში და ამ კუთხით საკუთარი სიტყვა ეთქვა. მან შეასრულა დასახული ამოცანა და არა მხოლოდ მხარი აუბა უახლეს მხატვრულ ტენდენციებს, არამედ ერთ-ერთ-

თმა პირველმა შექმნა ორგანული ანუ ბიომორფული აბსტრაქცია. ის ასევე ერთ-ერთი პირველია, ვის შემოქმედებაშიც არტ დეკოს ნიშნები გამოჩნდა.

1927 წელს მხატვარი სამშობლოში დაბრუნდა. მან დატოვა დამოუკიდებელი საქართველო, სადაც მოდერნისტული მხატვრული და ლიტერატურული აზროვნება აღმავლობას განიცდიდა და დაბრუნდა გასაბჭოებულ ქვეყანაში, რომელშიც ავანგარდული მიდრეკილებებისთვის სჯიდნენ. დავით კაკაბაძე თეატრისა და კინოს მხატვრად მუშაობდა, სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა, თეორიულ წერილებს აქვეყნებდა, გადაიღო ფილმი ქართული ძეგლების შესახებ. მოგვიანებით პეიზაჟის ჟანრსაც მიუბრუნდა. მაგრამ მხატვარს სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისთვის შეუთავსებლობის გამო აკრიტიკებდნენ და ამ მიზეზით სამხატვრო აკადემიიდანაც დაითხოვეს. 1952 წელს დავით კაკაბაძე გულის ინფარქტით გარდაიცვალა.

დღეს, 3D-ს ეპოქაში, განსაკუთრებით ნათლად ჩანს, თუ რამდენად პროგრესულად აზროვნებდა დავით კაკაბაძე. ის ორგანიზაციული სიბრტყეზე სივრცის პრობლემების ახალი ხერხებით გადაწყვეტის ამოცანებზე მუშაობდა. მოდერნიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელმა თავისი ნოვატორული გამოგონებების სახით ისეთი ნამუშევრები დატოვა, რომლებიც პოსტმოდერნისტულ ხანაშიც პროცესის სახით განაგრძობენ არსებობას (2011 წელს მის მიერ შესრულებული სტალინის ჰოლოგრაფული პორტრეტის პროექტი შევდეთში, ქალაქ ლუნდის მუნიციპალიტეტის დახმარებით განხორციელდა). ავანგარდული, ექსპერიმენტული ხასიათის მიუხედავად, კაკაბაძის ყველა ნამუშევარი კლასიკურ, მკვიდრ კანონებზეა დაფუძნებული.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე, იმერეთის გორაკზე მდგარი დავით კაკაბაძის თვალი ეპოქას გაუსწორდა. ის სამყაროს ჭეშმარიტი კლასიკოსის თვალთა აღიქვამდა და მარადიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ ავანგარდულ ნაწარმოებებს ქმნიდა. ■



იმერეთი დედაჩემი



კუბისტური კომპოზიცია




ბრეტანი



იმერეთის პეიზაჟი



იმერული ნატურმორტი



კონსტრუქციულ-დეკორატიული კომპოზიცია

ციხეგოჭი – არქეოპოლისი



რეგიონი > დავით ლომიძეშვილი

ნოქალაქევის ნაქალაქარზე 1988 წლიდან ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმი ფუნქციონირებს, სადაც დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა, გაეცნოს ძველი კოლხეთის, ეგრისისა და შუა საუკუნეების სამეგრელოს მატერიალურ კულტურას. 1973 წლიდან ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრები დაიწყო ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის (ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმი) ექსპედიციამ პროფ. პ. ბაქარაიას ხელმძღვანელობით. 2001 წლიდან არქეოლოგიურ კვლევებში კემბრიჯის, ოქსფორდის, ბრედფორდის, საუთჰემპტონისა და ვინჩესტერის უნივერსიტეტები ჩაერთნენ. საერთაშორისო ექსპედიცია დღემდე წარმატებულად აგრძელებს სამეცნიერო კვლევით სამუშაოს.

„...აწ სენაკს ზეით უნავირას ძირში არს ნაქალაქევი, ციხეგოჯად წოდებულნი...“
ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757 წწ.)

სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, მდ. რიონ-ფაზისის შენაკადის, ტეხურის აუზში, მდებარეობდა კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი უძველესი და უმსხვილესი ნამოსახლარი ნოქალაქევი. ჩვენი



წინაპრები მას ციხე-გოჯს ან ქუჯის ციხეს უწოდებდნენ, ხოლო ბიზანტიელები – არქეოპოლისს ანუ ძველ ქალაქს. „ციხე-გოჯის ქვეყანა“ ყოველთვის განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობით გამოირჩეოდა, რის გამოც ნაქალაქარს თითქმის უწყვეტად, თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში, არ დაუკარგავს მნიშვნელობა. არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ ამ ადგილას პირველი სამოსახლო ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე გაჩენილა. ნაქალაქარზე გამოვლენილია ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღებული, მთელ კავკასიაში უნიკალური ნამოსახლარი სახელოსნოებითა და საკულტო მოედნებით. როგორც ირკვევა, აქ ადგილობრივი ხელოსნები 28 საუკუნის წინ სხვადასხვა მინერალისგან ამზადებდნენ მაღალხარისხოვან მიწვებს, აქვე ფუნქციონირებდა მცირე მეტალურგიული სახელოსნო. გამოვლენილია ამ სახელოსნოებისათვის საჭირო მრავალფეროვანი ნედლეული და ინვენტარი. სახელოსნოების ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი ათეულობით საგანგებოდ დამსხვრეული სხვადასხვა ცხოველის (ირემი, ცხენი, ხარი, ცხვარი, ღორი და სხვ.) ორმხრივთავებიანი კერამიკული ფიგურები. სავარაუდოდ აქ რთული რელიგიური რიტუალი სრულდებოდა. ძვ.წ. VII ს-ის დასაწყისისათვის სახელოსნოები და საკულტო მოედანი ძლიერ ხანძარს გაუნადგურებია და ცხოვრების

ინტენსივობა შედარებით დაქვეითებულა. ძვ.წ. IV ს-ის მიწურულიდან ქართლის სამეფოში განვითარებული მოვლენების შემდეგ, მეფე ფარნავაზის თანამედროვე ეგრისის ერისთავი ქუჯი ნოქალაქევი თავის რეზიდენციას აშენებს, „ქალაქსა და ციხეს“ – ციხეგოჯს. არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულია დიდი რაოდენობით როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ნაწარმი, რაც იმდროინდელი ცხოვრების მაღალი დონის მაჩვენებელია. ძვ.წ. II ს-დან ჯერ პონტოს სამეფოს, შემდეგ კი რომის ექსპანსიის შემდეგ კოლხეთში ცხოვრების საერთო დონე ძლიერ ეცემა და ციხეგოჯშიც ცხოვრება თითქმის ქრება. ახ. წ. I საუკუნიდან დასვლეთ საქართველოში რამდენიმე სახელმწიფო შეიქმნა. მათ შორის ყველაზე ძლიერმა – ეგრისის (ბიზანტიური წყაროებით – ლაზიკის) სამეფომ IV საუკუნეში გააერთიანა დასვლეთ საქართველო. მისი დედაქალაქი გახდა ნოქალაქევი. ნოქალაქევის სამეფოს ცენტრად გადაქცევისთანავე აქ დიდი სამშენებლო სამუშაოები გაჩაღდა. ქალაქი გაღავნით შემოიზღუდა; აიგო სასახლე და დარბაზული ეკლესია. ამჟამად მათი მხოლოდ ფუნდამენტებიღაა შემორჩენილი. ქვეყნის დედაქალაქში ქრისტიანული ტაძრის მშენებლობა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგი-



ად ეგრისში IV საუკუნეში გამოცხადდა. ინტენსიური ქალაქმშენებლობა V-VI საუკუნეებშიც გრძელდებოდა. პირველ რიგში უფრო მძლავრი გახდა თავდაცვითი სისტემა: V საუკუნეში ქალაქს კიდევ ერთი გალავანი შემოავლეს. მთის პლატოზე, რომელიც ნოქალაქევეს ზემოდან დაჰყურებს, აიგო ციტადელი; VI საუკუნის დასაწყისში ქალაქის აღმო-

სავლეთის და სამხრეთის მხარეები კიდევ უფრო გაამაგრეს დიდი ქვის კვადრებით აგებული გალავნით. ისეთივე გალავანი აიგო მთის ფერდობზეც და ამით დასრულდა მთელი პერიმეტრის შემოზღუდვა (საერთო ფართობი 20 ჰექტარი). ქალაქში შესასვლელი ჭიშკარი გაჭრილი იყო აღმოსავლეთის გალავანებში, სადაც მას სპეციალურად

აგებული კოშკი იცავდა. თავდაცვითი სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო დასავლეთ კუთხეში მდებარე მდინარეზე ჩასასვლელი გვირაბი, საიდანაც ქალაქი ალყის დროს წყლით მარაგდებოდა. ციხეგოჯის თავდაცვითი სისტემის სიძლიერეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ VI საუკუნის შუახანებში ირანელი დამპყრობლები ორ-

ჯერ შეეცადნენ მის აღებას, მაგრამ აქ გამაგრებულმა ეგრისელებმა და მათმა მოკავშირე ბიზანტიელებმა მოიგერიეს ისინი (ირანელებს ამ ბრძოლებში საბრძოლო სპილოებიც კი გამოუყენებიათ).

თავდაცვითი ნაგებობების გარდა V-VI საუკუნეებში ქალაქში აიგო საერო და საკულტო ნაგებობები – 5 ეკლესია (მათ შორის თითო-თითო ფერდობსა და ციტადელზე), 2-2 სასახლე, აბანო და წყლის რეზერვუარი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქის ცენტრში მდგარი „ორმოც მოწამეთა“ ეკლესია და სასახლე. ეს უბანი დაცული იყო ცალკე გალავნით და კოშკით. ქალაქმშენებლობის დიდ მასშტაბებზე მეტყველებს ნოქალაქევეში გამოვლენილი დიდი რაოდენობის სამშენებლო კერამიკა – სხვადასხვა ზომისა და ფორმის აგურები, რომლებსაც შშენებლობისას იყენებდნენ და ნაგებობების გადასახური ასევე სხვადასხვა ზომისა და ფორმის კრამიტები.

ციხეგოჯი-არქეოპოლისი ქვეყნის არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ სტრატეგიული და სავაჭრო ცენტრი იყო. იგი მდებარეობდა ეგრისის მთის და ბარის შესაყართან მნიშვნელოვან სავაჭრო-სატრანზიტო გზაზე. ამ გზით ირანი, სომხეთი და ქართლი ბიზანტიასა და ჩრდილოეთშავიზღვისპირეთს უკავშირდებოდნენ. გაცხოველებულ ვაჭრობაზე მეტყველებს

ნოქალაქევეში აღმოჩენილი დიდი რაოდენობით სხვადასხვა სახის იმპორტული ნაწარმი (მინის ჭურჭელი, წითელლაკიანი კერამიკა, ამფორები და სხვა); ასევე სხვადასხვა იმპერატორის მიერ მოჭრილი ბიზანტიური მონეტები. ქალაქის ეკონომიკურ სიძლიერეზე მიუთითებს ადგილობრივი ნაკეთობების სიუხვეც – სამეურნეო, საოჯახო და სამზარეულო დანიშნულების კერამიკა (ქვევრები, ამფორები, დოქები, ქოთნები, ქვაბები და სხვა). ნოქალაქევეში გამოვლენილია ლითონის სამეურნეო და საბრძოლო იარაღი – თოხები, ცულები, შუბისპირები, ისრისპირები და ა. შ.

ეგრისის და, შესაბამისად, დედაქალაქის ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება VII საუკუნის ბოლოდან, როდესაც აქ ახალი დამპყრობლები – არაბები გამოჩნდნენ. მათსა და ბიზანტიელებს შორის დაპირისპირებაში ქართველები (ქართლი და ეგრისი) ძირითადად ამ უკანასკნელთა მხარეს იბრძოდნენ. ეს კი იმით დასრულდა, რომ 735-737 წლებში საქართველოში ილაშქრა არაბმა სარდალმა მერვან იბნ-მუჰამედმა (მურვან-ყრუმ), რომელმაც მრავალი ქართული ქალაქი აიღო და დაანგრია. მათ შორის იყო ციხეგოჯი-არქეოპოლისიც. აქ, მართალია, ცხოვრება ამის შემდეგაც გრძელდებოდა, მაგრამ ქვეყნის ცენტრმა აღმოსავლეთით, ქუთაისისკენ გადაინაცვლა და ნოქალაქევი რიგით სოფლად გადაიქცა. ■





სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი

სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის ისტორია თითქმის საუკუნეს ითვლის. მისი დაარსება ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების ფუძემდებელთა და ადგილობრივ მოღვაწეთა სახელს უკავშირდება, რომელთაც, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის პირობების გაუმჯობესების და შესწავლის მიზნით, მუზეუმის შექმნის აუცილებლობის საკითხი დააყენეს.

2004 წლიდან სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმი საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შევიდა. დაიწყო არსებული მდგომარეობის თანმიმდევრული შესწავლა-ანალიზი და სახსრების მოძიება მუზეუმში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პირობების შესაქმნელად.

წლების განმავლობაში სხვადასხვა საერთაშორისო ფონდისა და ორგანიზაციის მხარდაჭერით, თანმიმდევრულად განხორციელდა რამდენიმე მრავალკომპონენტური მასშტაბური პროექტი.

2013 წელს სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმში მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარე კომპლექსური სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. პროექტზე მუშაობდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ჯგუფი ქართველ და უცხოელ სპეციალისტებთან ერთად (არქიტექტურული პროექტი – გაგა კიკნაძე, საექსპოზიციო სივრცის დიზაინი – ლინა მარია ლოპესი, სამუზეუმო განათება – კომპანია „En Phase“).

საგამოფენო დარბაზები მოეწყო და აღიჭურვა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; ექსპონატებისთვის გათვალისწინებულ იქნა შესაბამისი განათება, სპეციფიკური პირობები და კლიმატური გარემო. შეიქმნა და აღიჭურვა ახალი სარესტავრაციო ლაბორატორია, საცავები და სამუშაო ოთახები. დაგეგმილია აუდიტორიის მოწყობა.

სვანეთის ისტორიის და ეთნოგრაფიის მუზეუმის განახლება ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, უფრო ნათლად წარმოვჩინოთ ქართული საგანძურის განსაკუთრებული ხასიათი და მისი მნიშვნელობა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის კონტექსტში.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი მადლობას უხდის მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის საქართველოს UNESCO-ს საქმეთა ეროვნულ კომისიას;

ევროკავშირს;

პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდს / ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გაერთიანებას;

სმიტსონის ინსტიტუციას;

აშშ-ს ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდს;

იტალიის საელჩოს საქართველოში;

შვეიცარიის საელჩოს საქართველოში. ■



ღამე მუზეუმში

ივანთები > ლანა შარაია

2012 წლის 16 იანვრის ღამეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში მოეწყო უჩვეულო კულტურულ-საგანმანათლებლო აქცია „ღამე მუზეუმში“. გალერეის ექსპოზიციაში წარმოდგენილი XX საუკუნის ქართული ფერწერის პერსონაჟები „გაცოცხლდნენ“ და მუზეუმისთვის უჩვეულო დროს, საღამოს 9 საათზე მოსულ დამთვალიერებელს „შეხვდნენ“ გალერეის დარბაზებში.



საქართველოს ეროვნული მუზეუმი
დასავლეთი გალერეა
„ღამე მუზეუმში“
2012 წლის 16 იანვარი
საღამოს 9 საათზე





მუზეუმების ღამის აქცია, ჩვეულებრივ, მუზეუმების საერთაშორისო დღეს უკავშირდება და, შესაბამისად, 18 მაისს აღინიშნება. „მუზეუმების ღამე“ პირველად 1997 წელს მოეწყო ბერლინში. შემდგომში მსგავსი აქციების ჩატარება ტრადიციად იქცა ევროპის 120 ქალაქში, აგრეთვე მსოფლიოს სხვა კონტინენტების მუზეუმებშიც. დროთა განმავლობაში აქციამ ძალზე მრავალფეროვანი ხასიათი მიიღო და ფართომასშტაბიან ღონისძიებად იქცა. მაგალითად, ბერლინში მუზეუმების ღამე ყოველწლიურად ორჯერ (ზამთარსა და ზაფხულში) იმართება და მასში ასობით მუზეუმი, არქივი, მემორიალური სახლი, გალერეა და კულტურის სფეროს სხვა დაწესებულებები მონაწილეობს, რომლებიც ყოველწლიურად მრავალრიცხოვან აქტივობას სთავაზობენ სხვადასხვა

ასაკის დამთვალეირებელს. მათ შორისაა სპეციალური ტურები, ლექციები, მასტერკლასები, კინოჩვენებები, კლასიკური და ჯაზური მუსიკის საღამოები, თეატრალური პერფორმანსები და ბევრი ისეთი ღონისძიება, რომელიც, როგორც წესი, მუზეუმის ჩვეულებრივ სამუშაო საათებში არ ეწყობა. მსგავსმა კულტურულმა ღონისძიებებმა იმდენად დიდი ინტერესი გამოიწვია, რომ საფრანგეთის კულტურისა და კომუნიკაციების სამინისტრომ 2005 წელს „მუზეუმების ევროპული ღამე“ დააფუძნა, ხოლო 2011 წლიდან ევროპის 40 ქვეყნის 4000-ზე მეტი მუზეუმი ჩაერთო საერთაშორისო სამუზეუმო აქციაში, რომელსაც ორგანიზებას ევროპის საბჭო, UNESCO და ICOM (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო) უწევენ. მუზეუმებისა და სხვა საგამოფენო სივრცეების რესურსებისა და

შესაძლებლობების გამოყენებით ამგვარი აქციის მოწყობა მიზნად ისახავს მუზეუმების აუდიტორიის გაფართოებას და დამთვალეირებელთა რიცხვის გაზრდას, სამუზეუმო კოლექციებისა და, ზოგადად, სამუზეუმო საქმის პოპულარიზაციას. უკანასკნელ წლებში საქართველოს მუზეუმებიც შეუერთდნენ ამ საერთაშორისო აქციას სხვადასხვა სახის ღონისძიებებით, რომელთაგან ერთ-ერთი ეროვნულ გალერეაში განხორციელდა. ხანგრძლივი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ, ეროვნულ გალერეაში 2011 წელს გაიხსნა გამოფენა „XX საუკუნის ქართული ხელოვნების შედეგები“, რომელმაც დამთვალეირებელს შესაძლებლობა მისცა, ერთ საგამოფენო სივრცეში ეხილა ნიკო ფიროსმანის, გიგო გაბაშვილის, ლადო გუდიაშვილის, მო-



სე თოიძის, დიმიტრი შევარდნაძის, დავით კაკაბაძის და სხვათა ნამუშევრები. მიუხედავად იმისა, რომ გალერეაში პერიოდულად ხორციელდება სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამები და პროექტები, მიმდინარეობს უნივერსიტეტების სტუდენტთა სტაჟირების პროგრამა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად კვლავ რჩება სამუშეუმი აუდიტორიის გაფართოება, კერძოდ კი, კონკრეტული სეგმენტის – სკოლის მოსწავლეთა და უნივერსიტეტების სტუდენტთა მოზიდვა გალერეაში.

სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით, ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლობით, ეროვნულ გალერეაში დაიგეგმა კულტურულ-საგანმანათლებლო აქცია „ღამე მუზეუმში“, რომელიც შემუშავდა სპეციალურად საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორის და თბილისის ასი სკოლის დირექტორისათვის სამომავლოდ მუზეუმში სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტთა მოზიდვის, აგრეთვე გალერეის სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვის პერსპექტივით.

16 იანვარს ეროვნულ გალერეაში გამართული აქცია საკმაოდ ბევრ და შთამბეჭდავ ასპექტს მოიცავდა. პროექტის პრეზენტაციაზე მოსულ სტუმრებს გალერეის ეზოში ხვდებოდა მოლბერტთან მდგარი „ნიკო ფიროსმანაშვილი“, რომელიც „აქტრისა მარგარიტას“ პორტრეტს მათ თვალწინ „ქმნიდა“, დროდადრო ხატვას წყვეტდა და უხმო ჟესტიკულაციით სტუმრებს გალერეაში ეპატიუებოდა. იმავდროულად, გალერეის კედელზე დამონტაჟებულ ვიდეო მონიტორზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პერსონაჟები, რომლებიც შემდეგ გალერეის ექსპოზიციაში „ცოცხლდებოდნენ“. საგამოფენო სივრცეში შესულ სტუმრებს თითოეული დარბაზის წინ ეგებებოდნენ გიდეები, რომლებიც კლასიკური მუსიკის თანხლებით საინტერესო, სპეციალურად ამ დღი-





მუზეუმების ღამის აქცია, ჩვეულებრივ, მუზეუმების საერთაშორისო დღეს უკავშირდება და, შესაბამისად, 18 მაისს აღინიშნება. „მუზეუმების ღამე“ პირველად 1997 წელს მოეწყო ბერლინში. შემდგომში მსგავსი აქციების ჩატარება ტრადიციად იქცა ევროპის 120 ქალაქში, აგრეთვე მსოფლიოს სხვა კონტინენტების მუზეუმებშიც. დროთა განმავლობაში აქციამ ძალზე მრავალფეროვანი ხასიათი მიიღო და ფართომასშტაბიან ღონისძიებად იქცა.



სათვის მომზადებულ ისტორიებს ჰყვებოდნენ მხატვრებისა და ცალკეულ ნამუშევართა შესახებ. ექსკურსიის პარალელურად, დამთვალიერებელს დარბაზში ხვდებოდნენ ქართული ფერწერის ცნობილ შედეგრთა „გაცოცხლებული“ პერსონაჟები – ნ. ფიროსმანის „გოგონა ბუშტით“, „მეთევზე“, „აქტრისა მარგარიტა“, გიგო გაბაშვილის „სამარყანდელი“, ლადო გუდიაშვილის კინტოები, შალვა ქიქოძის გურული და აჭარელი ქალები და თავად მხატვრებიც – ნიკო ფიროსმანაშვილი, დავით კაკაბაძე, ელენე ახვლედიანი და დიმიტრი შევარდნაძე. ღონისძიების დასკვნით ნაწილში სტუმრებისათვის მოეწყო შემეცნებით-გასართობი ვიქტორინა, რომელიც მოიცავდა კითხვებს გალერეის ისტორიისა და მიმდინარე ექსპოზიციის ირგვლივ. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ საქართველოს

ეროვნული მუზეუმის სუვენირებითა და სხვადასხვა პუბლიკაციებით. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობდა სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულება: დამთვალიერებლებს გიდობას უწევდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტები, ხოლო მხატვრულ ტილოთა პერსონაჟები გააცოცხლეს და მცირე ეტიუდები შექმნეს ლიტერატურული თეატრის რეჟისორმა და მსახიობებმა, აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის წევრებმა და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. აქციის მუსიკალურ ფონს ქმნიდნენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტები და ე. მიქელაძის სახელობის II მუსიკალური ნიჭიერთა ათწლეულის

მოსწავლეები. პროექტის განხორციელების პროცესში ამ დაწესებულებებისა და, თავისთავად, სამიზნე ჯგუფის მონაწილეობამ, თავის მხრივ, უდავოდ პოზიტიური როლი ითამაშა ეროვნული გალერეისა და, ზოგადად, ეროვნული მუზეუმის აუდიტორიის გაფართოებასა და აქტიური პარტნიორული ქსელის შექმნაში. პროექტმა დიდი რეზონანსი და დაინტერესება გამოიწვია. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აქციის განხორციელების შემდეგ თბილისისა და საქართველოს სხვა რეგიონების მრავალმა სკოლამ და უმაღლესმა სასწავლებელმა გამოთქვა სურვილი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ვიზიტისა და საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვისა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მსგავსი აქციებისა და ღონისძიებების მნიშვნელობასა და ეფექტურობას. ■





„სამყარო, ადამიანი, ტვინი“

ივნთები > ნათია ლიპოვალი

20 ნოემბერია, შვიდ საათს რამდენიმე წუთი უკლია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიასა და საზოგადოებრივ სივრცეში იკრიბებიან მუზეუმის მეგობრები, ბიზნესმენები, პოლიტიკოსები, სტუდენტები... თანამშრომლები უკანასკნელ ტექნიკურ დეტალებს აგვარებენ – პირველი მცდელობაა ღონისძიების მუზეუმის აუდიტორიიდან საზოგადოებრივ სივრცეში პირდაპირი ტრანსლირებისა. ყველაფერი მზადაა და სამი ქართველი მეცნიერი – გია დვალი, დავით ლორთქიფანიძე და ზაზა კოკაია – მსმენელთან შესახვედრად ემზადება.

„სამყარო, ადამიანი და ტვინი“ – ასე ეწოდება ლექციას, რომელსაც ქართველი მეცნიერები წაიკითხავენ. ლექციის მიზანია, წარმოაჩინოს კოსმოლოგიაში, პალეოანთროპოლოგიაში და ნეირომეცნიერებაში ბოლო წლებში მიღწეული ფუნდამენტური აღმოჩენები. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მსმენელს საშუალება ეძლევა, პოპულარულ ენაზე მოისმინოს სამყაროს წარმოშობის, ადამიანის ევოლუციისა და ტვინის განვითარებაზე გაკეთებული უკანასკნელი აღმოჩენების შესახებ იმ მეცნიერებისაგან, რომელთა კვლევებს უშუალო კავშირი აქვს ამ აღმოჩენებთან და გაიგოს, თუ როგორ წარმართავს თანამედროვე მეცნიერება სამყაროს,

ადამიანის წარმოშობისა და ადამიანის არსის შემეცნების პროცესს. ლექციას საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი ხსნის, თუმცა სულ ცოტა ხანში ის განსხვავებულ, მეცნიერის ამპლუაში წარუდგება საზოგადოებას. მანადე კი გია დვალი ცდილობს, მაქსიმალურად გასაგებ ენაზე აგვიხსნას სამყაროს წარმოშობის თეორია, ის „მუსიკა“, რომელიც თურმე დღესაც ისმის და აფეთქებები, რომლებმაც ამ ხმოვანი ვიბრაციის საშუალებით სამყაროს შექმნას დაუდო საფუძველი. იგი ყვება შავი ხვრელის, ენერგიების მონაცვლეობისა და ცდების შესახებ, რომლებსაც დღეს მეცნიერები ატარებენ. და აი, როდესაც ადამიანამდე მივდით და გავიგებთ, რომ თურმე ჩვენც ოდესღაც არსებული ვარსკვლავების ნაწილაკებისგან შევდგებით, გია დვალს დავით ლორთქიფანიძე ენაცვლებს. მისი მოხსენება ეხება ადამიანის ევოლუციას, გზას რომელიც ჩვენმა წინაპრებმა გაიარეს ადამიანის მსგავსი უძველესი სახეობიდან ჰომო საპიენსამდე და ადგილს, რომელიც დმანისის უძველეს მოსახლეებს უჭირავთ ადამიანის ევოლუციის ისტორიაში. გვამაყება, რომ დმანისის აღმოჩენებმა შეცვალეს მსოფლიოს ევოლუციის რუკა და რომ სულ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ დაიბეჭდა დმანისის უკანასკნელი აღმოჩენის შესახებ ჟურნალ „Science“-ში.


ვიგებთ, რომ მთავარი, რამაც ადამიანის ევოლუცია განაპირობა, ტვინის მოცულობისა და ნაოჭების რაოდენობის ზრდაა და რომ დღევანდელი ადამიანის ტვინის მოცულობა დაახლოებით 2.5-ჯერ აღემატება აქამდე აღმოჩენილი ადამიანის წინაპრის ტვინისას. ტვინის თემას ზაზა კოკაია ავრცობს და იმ საოცარი „ავტონომიის“ შესახებ გვიყვება, რომელსაც ტვინი წარმოადგენს. დაწვრილებით გვიხსნის, თუ რა გვხდის ჩვენ ადამიანებად და რა განაპირობებს იმ უნარს, რომელსაც „აზროვნება“ ჰქვია. ინტრევა რამდენიმე მითი, მაგალითად ის, რომ ტვინის უჯრედების აღდგენა არ ხდება – თურმე ხდება, თურმე დავიწყებაც ისეთივე ბუნებრივი პროცესია, როგორც დახსოვნება... ვიგებთ, რომ თურმე დღეს შესაძლებელია ღეროვანი უჯრედების მიღება უკვე ფორმირებული უჯრედებისგან და შემდეგ ამ ღეროვანი უჯრედების ტვინის ნეირონებად – ყველაზე რთულ უჯრედებად გარდაქმნა. ლექცია დაახლოებით ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობს, მას აქტიური დისკუსია მოჰყვება, მეცნიერები ისევ უბრუნდებიან საზოგადოებრივ სივრცეს, რათა იქ შეკრებილებსაც მიეცეთ კითხვების დასმის საშუალება. დრო შეუმჩნეველად გადის, ისე, როგორც კარგი სპექტაკლის ყურებისას, ან კარგი წიგნის კითხვისას ხდება. მსმენელს დაჟღა არ სურს – საღამო შედგა. ■

დმანისის ალბორენები ჟურნალ „SCIENCE“-ის გარეკანზე

პუბლიკაცია > ნათია ხულუშაური



„სრული თავის ქალა დმანისიდან და ადრეული ჰომოს ევოლუციური ბიოლოგია“ – ასე ეწოდება სტატიას, რომელიც 18 ნოემბერს ჟურნალ „Science“-ში დაიბეჭდა და მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებისა და პრესის ყურადღება მიიპყრო. სტატია ახალ მეცნიერულ აღმოჩენას – მეხუთე თავის ქალას ეძღვნება დმანისიდან, რომელიც 2005 წელს 1,8 მილიონი წლით დათარიღებულ ფენაში აღმოჩნდა. ამავე ინდივიდს მიეკუთვნება 2000 წელს აღმოჩენილი ქვედა ყბა. ნიმუში ზრდასრული ინდივიდის ერთადერთი საუკეთესოდ შემონახული თავის ქალაა, რომელმაც მეცნიერებს სრულყოფილი კვლევის საშუალება მისცა.

კვლევა, რომელიც სტატიას დაედო საფუძვლად, წლების განმავლობაში მიმდინარეობდა უცხოელ კოლეგებთან ერთად. შესაბამისად, სტატიის ავტორებადაც ქართველ მეცნიერებთან, დავით ლორთქიფანიძესთან, აბესალომ ვეკუასთან და ანი მარგველაშვილთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი კვლევითი დაწესებულების წარმომადგენლები – ფილიპ რაიტმაიერი (ჭარვარდის უნივერსიტეტი), კრისტოფ ცოლიგოფერი და მარსია პონცე ლენი (ციურხის უნივერსიტეტი) და იოელ რაკი (თელ-ავივის უნივერსიტეტი) გვევლინებიან. „Science“-ში სტატიის გამოქვეყნება ნებისმიერი მეცნიერისთვის დიდი პატივია,



ჟურნალი „Nature“

მის ყდაზე მოხვედრა კი მართლაც რომ განსაკუთრებული აღიარების ნიშანი. ამის კიდევ ერთი დასტურია სამეცნიერო დარგის მეორე უმნიშვნელოვანესი ჟურნალის „Nature“, ასევე, „New York Times“-ის, „Guardian“-ის, „National Geographic“-ის, „Figaro“-ს და მსოფლიოს სხვა ცნობილი გამოცემების გამოხმაურება, რომელიც სტატიის გამოქვეყნებას მოჰყვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დმანისის უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას ჟურნალი „Science“ უკვე მესამედ უძღვნის ვრცელ სტატიას. 2000 წლის მსოფლიოს ათ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ აღმოჩენათა შორის დმანისის პალეოანთროპოლოგიური მონაპოვარი მესამე ადგილზე იქნა დასახელებული. ამავე ნომერში „Science“-ი ბეჭდავს გამოჩენილი მეცნიერების კომენტარებს, მათ შორისაა ამერიკელი მეცნიერი ტიმ უაიტი (Tim White), რომელიც აღნიშნავს: „ეს განსაკუთრებული ნამარხია, რომელიც დიდხანს იქნება მეცნიერთა ყურადღების ცენტრში“. ■





ეროვნული მუზეუმის საეკლესიო საბანძური


კუბლიკაცია > ნანა ბურჭულაძე

2012 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მომზადდა და გამოიცა ქართულ-ინგლისურენოვანი კატალოგი „შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელოვნება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში“. კატალოგი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის დაბადებიდან მე-80-ე და აღსაყდრებიდან 35-ე წლისთავს მიეძღვნა. ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის, ბატონი დავით ლორთქიფანიძის სიტყვით, „იგი მოკრძალებული საჩუქარია საქართველოს ეკლესიის მეთაურისთვის მუზეუმის თანამშრომლებისგან, რომლებმაც ურთულეს პირობებში შეძლეს მუზეუმში დაცული საეკლესიო ხელოვნების შედევრების შენარჩუნება და დღესაც განაგრძობენ მათ მოვლას“.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული ხელოვნების ძეგლთა უძვირფასესი კოლექციის მფლობელია. თბილისისა და მესტიის მუზეუმებში (და,

მათთან ერთად, სვანეთის ეკლესიებში) ინახება უძველესი ჯვარ-ხატები, ხელნაწერები, ნაქარგი ქსოვილი, ძვირფასი ლითონებისგან ნაჭედი, სევადითა და ძვირფასი ქვებით შემკული, ქვაზე

და ხეზე ნაკვეთი, ტიხრული მინანქრის ტექნიკით დამზადებული საეკლესიო დანიშნულების ათიათასობით ნივთი, რომელიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ნაწილია.



კატალოგი ძირითადად შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ექსპონატებს მოიცავს, ვინაიდან სწორედ ამ მუზეუმში ინახება ქართული საეკლესიო ხელოვნების უმდიდრესი განძი, რომელიც ქვეყნის შიგნით თუ გარეთ მოქმედ ქართულ მონასტრებში ასწლეულების მანძილზე იქმნებოდა. ეს კოლექცია XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის 20-იან წლებში ქართველ მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა და სასულიერო პირთა დიდი მეცადინეობით შეიქმნა და გადაჩენის მიზნით სახელმწიფო საცავებში მოთავსდა, საიდანაც 1952 წელს ახლად შექმნილ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გადავიდა. წლების მანძილზე იგი შეივსო არქიტექტურითა, მოქანდაკეთა და მხატვართა მიერ შესრულებული ასლებით, ანაზომებითა და ჩანახატებით, რომლებიც


საუკუნეების განმავლობაში პირველწყაროთა დაზიანებისა თუ გაქრობის გამო უკვე ორიგინალთა ტოლფასი გახდა. მუზეუმის მესვეურთა და მეცნიერთა ხანგრძლივი მცდელობით სამუზეუმო განძმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, თუმცა მის შესახებ ინფორმაცია არც ქვეყნის შიგნით და არც გარეთ სათანადო სისრულით ჯერ კიდევ არ წარმოჩენილა. ახლად გამოცემული კატალოგის მიზანაც სწორედ ისაა, რომ ხელი შეუწყოს სამუზეუმო კოლექციების მრავალფეროვნების რაც შეიძლება ფართოდ გაშუქებას. ამიტომ მასში სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში დაცული ექსპონატების ერთი ნაწილიც შევიდა და პირველად მოხდა ხელოვნების ყველა დარგის საუკეთესო ნიმუშების ერთობლივად

და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოჩენა. აღსანიშნავია, რომ წიგნში ასახული მასალის ერთი ნაწილი პირველად გამოიცა; მეორე ნაწილი აქამდე სრულიად უცნობი იყო ფართო საზოგადოებისთვის და სპეციალისტებისთვისაც კი. მათი გამოქვეყნებით მკითხველს საშუალება ეძლევა, ნათლად წარმოიდგინოს შუა საუკუნეების საქართველოს საეკლესიო ხელოვნების ზოგადი ხასიათი, ცალკეული რეგიონების, სკოლებისა და მიმდინარეობების თავისებურებები. ვიმედოვნებთ, რომ ეს კრებული საფუძველს დაუდებს მუზეუმში დაცული ქრისტიანული სიწმინდეების დარგობრივი კატალოგების გამოცემას, რომლებშიც ქართველი ერის საეკლესიო საგანძური უფრო ღრმად გაშუქდება. ■

„დიონისეს სახლი“

არქეოლოგია > ნათია ხულუგაური


მცხეთიდან სულ რაღაც 20 კილომეტრში, მდინარე ნარეკვავის მარცხენა ნაპირზე, მუხრანის ველზე, მდებარეობს ანტიკური ხანის მდიდრული ნაქალაქარი ძალისა, რომლის შესახებაც ბერძენი გეოგრაფი პტოლემეოსი ჯერ კიდევ II საუკუნეში წერდა. ძალისა I-IV საუკუნეებში მუხრანის მხარის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი იყო; IV საუკუნიდან მისი დაცემის ხანა დაიწყო, მაგრამ VI-VII საუკუნეებში ცხოვრება ისევ გააქტიურდა. VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბი სარდლის, მურვან ყრუს ლაშქრობისას ქალაქი საბოლოოდ გაპარტახდა. პირველად არქეოლოგებმა ძალისას გორანამოსახლარს 1964 წელს მიაკვლიეს, 1971 წლიდან კი რეგულარულად ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების დროს, რომელსაც ალექსი ბოხოჩაძე ხელმძღვანელობდა, ძველი ქალაქის ნაგებობათა ნაშთები გამოვლინდა.



ძალისას ნაქალაქარის ხილვისას ყველაზე დიდ შთაბეჭდილებას ალბათ მაინც საკმაოდ კარგად შემორჩენილი აბანოს მოზაიკები ახდენს, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზაიკური იატაკი II საუკუნით დათარიღებულ „დიონისეს სახლში“. მოზაიკის ცენტრში გამოსახულია მეღვინეობის ღვთაება დიონისე და მისი მეუღლე არიადნე. სურათს ორმაგი არშია აქვს შემოვლებული, ხოლო მათ შორის ადგილი მცენარეული ორნამენტითაა შევსებული. მოზაიკაში იგრძნობა ელინისტური ხელოვნების ტრადიციები: მოძრაობა ცოცხალია, ფორმა გამოსახულია შექმრდილით, თუმცა ნახატი ხაზოვანია. მიუხედავად განზოგადებული მოდელობისა, სახეები მეტყველია და თითქოს ინდივიდუალურიც. მოზაიკის ავტორი ან საქართველოში მცხოვრები უცხოელი უნდა იყოს, ან ქართველი, რომელიც ხელობას ანტიოქიის სკოლაში დაეუფლა. ძალისას მოზაიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში, სადაც მევენახეობა და მეღვინეობა ოდითგანვე იყო განვითარებული, დიონისეს კულტი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. სავარაუდოა, რომ ეს იყო დიონისეს ტაძარი, სადაც დიონისეს კულტთან დაკავშირებული რიტუალი სრულდებოდა. მოზაიკა ადასტურებს იმასაც, რომ იბერიის სამეფოს მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ელინისტურ კულტურასთან.

რომაული ტიპის აბანო სავარაუდოდ სასახლის კომპლექსში შედიოდა და სამი განყოფილებისგან შედგებოდა – ცივი, თბილი და ცხელი წყლის აბაზანებით და კარგად შემონახული გათბობის ჰიპოკაუსტების სისტემით. სწორედ თბილი და ცივი აბაზანებისა და ამ უკანასკნელის მომიჯნავე გასახდელის იატაკებია დაფარული მოზაიკით. მოზაიკის იატაკებიანი აბანოს მახლობლად აღმოჩნდა მეორე უფრო დიდი (ფართობით 1500 კვ.მ.), უკვე საზოგადოებრივი აბანო. მასში, გარდა ტრადიციული სააბაზანო განყოფილებებისა, შედის ატრიუმი, ღია ეზო და, სავარაუდოდ, სატაძრო ნაწილიც.

აბანოს ორმაგი წყალსადენით უკავშირდება საქართველოში პირველი საცურაო აუზიც, რომლის უნიკალურო-



ბას სხვა მახასიათებლებთან ერთად ზომაც – 800 კვ.მ. განსაზღვრავს. აუზს ჩრდილოეთით ცხრასაფეხურიანი კიბე აქვს მიდგმული კუთხეებში ჩამოსაკდომი მერხებით. საცურაო აუზი და აბანო, სავარაუდოდ, ერთ კომპლექსს ქმნიდა. აუზის მახლობლად გამოვლინდა

მოგვიანებით, სავარაუდოდ V საუკუნეში აშენებული ნაგებობაც, რომლის დანიშნულება ჯერჯერობით დაუზუსტებელია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ძალისას ტერიტორიაზე არსებული მონუმენტური სასახლეები. მათ შორის ერთ-ერთი დაახლოებით 2500 კვ.მ. ნაგებობაა და, სა-

ძალისა - 1988



ვარაუდოდ, ოცდაათზე მეტი სხვადასხვა ზომის, ფორმისა და დანიშნულების ოთახისგან შედგება. მათ შორისაა საძინებელი ოთახები, სათათბირო დარბაზი, ორგანოფილებიანი საპირფარეო საკუთარი კანალიზაციითა და წყალსადენით. სასახლეს ამშვენებდა რომაული გეგმარების შადრევნიანი შიდა ეზო – ატრიუმი. სამშენებლო მასალად გამოყენებული იყო რიყის ქვა, ტუფისა და ქვიშაქვის თლილი ქვები, აგური და კერამიკული ფილები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შემორჩენილია სასახლის ცენტრალური გათბობის – ჰიპოკაუსტის ნაშთები, რომელიც მთელი ნაგებობის გასათბობად სასახლის შუა ნაწილში მდებარეობდა. ძალისას სასახლის ნანგრევები უდიდესია დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ანტიკური ხანის სასახლეებს შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძალისას ნაქალაქარზე აღმოჩენილია ეგრეთ წოდებული რეგულარული პრინციპით დაგეგმარებული, ურთიერთგადამკვეთი ქუჩები და მოედნები, რომლებზეც აგურის ფილები იყო დაგებული. გაითხარა ასევე რიყის ქვით ამოყვანილი საძირკვლები ალიზის კედლებისათვის, წყალსადენისა და კანალიზაციის გაყვანილობა, ქვის ბაზისები და სვეტისთავები. ნაქალა-

ქარზე მოპოვებული ყველაზე ადრეული არქეოლოგიური მასალა ძვ. წ. II-I საუკუნეებით თარიღდება, მთავარი ნაგებობები კი, როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, I-IV საუკუნეებს განეკუთვნება.

ძირითადი არქეოლოგიური სამუშაოების დასრულების შემდეგ, გასული საუკუნის 80-იან წლებში, ტაძარი მინის პავილიონში იქნა ჩასმული. გამაგრდა მოზაიკა და ჩატარდა სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები. დღეს ძალისას ნაქალაქარი საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შედის და მისი რეაბილიტაცია დაწესებულების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. უკვე რამდენიმე წელია, რაც საქართველოს ეროვნული მუზეუმი იტალიის კულტურის სამინისტროსთან, კომპანია BP-სთან და TBC-სთან ერთად გეგმავს, ეს ძეგლი მაღალი სტანდარტების შესაბამისად მოწყობილ მუზეუმ-ნაკრძალად აქციოს. ნაწილობრივ ეს მოხერხდა კიდევ – (2010-11 წლებში დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (WREP) „გადავადებული არქეოლოგიური გათხრების“ ხელშეკრულების თანახმად) BP-სა და მისი პარტნიორების მიერ დაფინანსდა პროექტი „ძალისას არქეოლოგიური ძეგლის განვითარება“.

გრძელვადიანი პროექტის მიზანი იყო ძალისას – ამ უნიკალური არქეოლოგიური კომპლექსის – კონსერვაცია, მისი ინფრასტრუქტურის განვითარება და მუზეუმ-ნაკრძალის იმგვარად მოწყობა, რომ შესაძლებელი იყოს ტურისტთა მომსახურების გაუმჯობესება.

პროექტის საწყის ეტაპზე საქართველოს ეწვია სამი იტალიელი ექსპერტი ქართველი სპეციალისტებისთვის გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მოწვეული იყო არქიტექტურული კომპანია „არტუბანი“, რომელმაც ძალისას არქეოლოგიური ძეგლის დაცვისა და განვითარების გეგმა მოამზადა. პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქიტექტორები, არქეოლოგები და კონსერვაციის სპეციალისტები. გაიწმინდა ძეგლი, მოხდა არქეოლოგიური უბნების სკანირება თანამედროვე აპარატურით და ძეგლის ზედმიწევნითი ფიქსაცია.

2011 წელს განხორციელდა პროექტის მეორე ეტაპი, რომელიც, კომპანია „არტუბანის“ მიერ მომზადებული გეგმის მიხედვით, ანტიკური ხანის ტაძრის ნაშთებისა და უნიკალური მოზაიკის დამცავი პავილიონის განახლებას ითვალისწინებდა. მოწესრიგდა ნაგებობის სადრენაჟო სისტემა.

ძეგლის პერიმეტრის დაცვისა და დამთვლიერებელთა ნაკადის რეგულირებისათვის მომზადდა ახალი შესასვლელის გეგმა და მოეწყო ვიზიტორთა ცენტრი.

მცხეთიდან სულ რაღაც 20 კილომეტრში, მდინარე ნარეკვავის მარცხენა ნაპირზე, მუხრანის ველზე, მდებარეობს ანტიკური ხანის მდიდრული ნაქალაქარი ძალისას, რომლის შესახებაც ბერძენი გეოგრაფი პტოლემიოსი ჯერ კიდევ II საუკუნეში წერდა. 18 საუკუნის შემდეგ ის კვლავ წარსდგა საზოგადოების წინაშე და მზადაა უმასპინძლოს ყველას, ვისაც საქართველოს წარსული აინტერესებს. ■

სტატიაში გამოყენებულია ირ. ციციშვილისა და ნ. ლორთქიფანიძის მასალები ძალისას არქეოლოგიური ძეგლის შესახებ.



შთაგვაგონებს ვიზრუნოთ ჩვენს პლანეტაზე

ყოველთვიური ჟურნალი NATIONAL GEOGRAPHIC ქართულად!

გამონერის შემთხვევაში, 7 ლარის ნაცვლად, ერთი ნომრის ფასი კურიერის მომსახურებით:



ექვსთვიანი გამონერა	6⁵⁰ ლარი	დაზოგად 0.50 ლარი +აღზილზა მიტანა
ერთწლიანი გამონერა	6 ლარი	დაზოგად 1 ლარი +აღზილზა მიტანა
გამონერა სტუდენტებისთვის	4⁵⁰ ლარი	დაზოგად 1.50 ლარი +აღზილზა მიტანა

ჟურნალის გამონერა შესაქალაქალია ვეზგვერდზე www.natgeo.ge



სპეციალური ფასი სილქნეტის აზონენტებისთვის
ერთი ნომერი 5 ლარი

თუ სარგებლობთ SilkTV-ით ან სილქნეტის ინტერნეტით ან სილქნეტის სახლის ტელეფონით:

- 2 100 100:**
- ▶ აპრიფით 2 100 100 და #4
 - ▶ გამონერა დაიკავებს 1 წუთს

- Silk TV-ის მენიუ:**
- ▶ Silk TV-ის მენიუში აირჩიეთ "ჟურნალი NATIONAL GEOGRAPHIC"
 - ▶ განერზე დააჭირეთ ღილასს "OK"



დამატავითი ინფორმაციისათვის დარაკათ სილქნეტის ცხელ ხაზზე ☎ 2 100 100

ტელ: 293 2171 | ფაქსი: 293 2172 | ელ-ფოსტა: info@natgeo.ge | www.natgeo.ge



საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ხელოვნების და მეცნიერების ფორუმი